საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკადისიბაგე ესაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 3-4 ოქტომბერი. 2022 წ. №155-156 (9493-9494) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ტრილიონი ოქრო იმას, ვინც პუტინს ბირთვულ ომს გაღააფიქრებინებს!

„ხალხის ძალა“: SOS! ამერიკა საქართველოს მეორე ფრონტისთვის ამზადებდა!

საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“ განცხადებას ავრცელებს. პარლამენტის წევრები: **სოზარ სუბარი, დიმიტრი ხუნდაძე, გურამ მაჭარაშვილი** და **მიხეილ ყაველაშვილის** განცხადებით, მათ რამდენჯერმე სთხოვეს ამერიკის ელჩს, ვაშაძის განცხადებას გამიჯვნოდნენ, თუმცა, ყოველ ჯერზე პასუხად დუმილი მიიღეს.

„რადიკალური ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, გიორგი ვაშაძემ საინტერესო განცხადება გააკეთა — „ჩემი ინფორმაციით, უკრაინაში ომის დაწყების მომენტიდან, ამერიკულმა მხარემ საქართველოს მხარეს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის მრავალმილიარდიანი პაკეტი შესთავაზაო“. მისი თქმით, ეს დახმარება, მათ შორის უკრაინელ მფრინავებთან ერთად ქართველი მფრინავების გადამზადებასაც ითვალისწინებდა.

საინტერესოა ისიც, რომ ვაშაძემ საქართველოსთვის იარაღის მიწოდების მთავარ მექანიზმად ე.წ. „ლენდლიზი“ დაასახელა. უკრაინის მაგალითზე, კარგად ვიცით, რომ „ლენდლიზის“ დამტკიცებასა და ამოქმედებას რამდენიმე თვე სჭირდება, რაც ნიშნავს, რომ „ლენდლიზის“ ინიცირების პირობებში, რუსეთს საკმარისი დრო ექნებოდა, რათა საქართველოს სრული ოკუპაცია ამერიკიდან დაანონსებული იარაღის შემოსვლამდე განეხორციელებინა, მანამდე კი, ქართველ სამხედროებს რუსეთის არმიასთან უთანასწორო დაპირისპირება ამჟამად არსებული რესურსით მოუწევდათ.

ვაშაძის განცხადება ფართოდ აიტაცეს გიგა ბოკერიამ, შოთა უტიაშვილმა, ბაჩო დოლიძემ და ნაცმოძრაობის კუთვნილმა ტელევიზიებმა. მათ სხვადასხვა ფორმით, პრაქტიკულად, დაადასტურეს ვაშაძის ინფორმაცია და უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ უკრაინისთვის შეიარაღების არგადაცემისა და ამერიკიდან შეიარაღების არმიღების გამო საქართველოს ხელისუფლება მწვავედ გააკრიტიკეს.

იხ. 2 გვ.

ეპიდემიოლოგია

ჭკუიდან გადასული ნახევარი საქართველოს უსაქციელობის ქრონიკები 3

...მიეგება მზეს თბილისი თავის ყველა კარით!

მარილაც ღვინოში ჩაწობილი ფიროსმანის ფუნჯით მოხატულ ქალაქს ჰგავდა ჩვენი თბილისი 1-2 ოქტომბერს... ძველი და მარად ახალი, ხალხით სავსე, მზით სავსე, ტურისტებით სავსე, შთამბეჭდავი ღონისძიებებით სავსე „ბებერი ტფილისი“ მსუყე შემოდგომის ჭირნახულმა დაამშვენა. ქუჩები, ბაღები, სკვერები გაივსო ბავშვებით, ახალგაზრდებით, საშუალო ასაკისა და ხანდაზმული მშვიდობიანი თბილისელებით და... ყველა ჯურის სტუმრით...

არ დაგვავიწყდეს, რომ თბილისი მშვიდობის ქალაქისა და დღეს, უკრაინაში მიმდინარე გაგანია ომის ფონზე, თბილისურ მშვიდობას განსაკუთრებული ფასი აქვს! საქართველოში ჩამოსულმა ბევრმა უკრაინელმაც იზეიმა თბილისობა და ცრემლიანი თვალებით შესვა ორი ერის, კიევისა და თბილისის მეგობრობის სადღეგრძელო!

როცა გაჭირვებაში მთელი გულით ვდღესასწაულობთ, ეს უკვე საკუთარ თავზე გამარჯვებას ნიშნავს!

გილოცავთ, თბილისელებო!

რაც კარგია, კარგია!... რაც ცუდია, ცუდი!

მაღალმთიან დასახლებებში 70 წლისა და ზემოთ ასაკის მქონეთა პენსია თითქმის, 440 ლარი იქნება, სხვაგან – 365 ლარი

ჯანდაცვისა და **სოციალური პროგრამების დაფინანსება 770 მლნ ლარით იზრდება**, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ბოლო სხდომაზე განაცხადა. მან გაზრდილ სოციალურ დახმარებებზე ისაუბრა.

„მაღალმთიან დასახლებებში 70 წლისა და ზემოთ ასაკის მქონე პენსიონერთა პენსია თითქმის, 440 ლარი იქნება, სხვაგან – 365 ლარი. 70 წლამდე პირთა პენსია თითქმის 300 ლარი გახდება, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 355 ლარი. ამასთან, გარდა პენსიისა გათვალისწინებული გვაქვს ჩვენ მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა სოციალური გასაცემელის ზრდა 65 ლარით და ასევე სხვა კატეგორიის შშმ პირთა გასაცემელიც გაიზრდება.

მინდა გითხრათ, რომ ბავშვთა დახმარება ჩვენ თითქმის, გავასამმაგეთ – იყო 50 ლარი და ახლა არის 150 ლარი. შარშან იყო 100 ლარი და შემდეგ კიდევ გავზარდეთ და ეს კიდევ გაგრძელდება. ჩვენი სურვილია, 2023 წელს, კიდევ გავზარდოთ!

იანვრიდან პოლიციელების, ჯარისკაცებისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების ხელფასები 20 პროცენტით გაიზრდება

„მათ შორის პოლიციელების, ჯარისკაცებისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისთვის ხელფასები გაიზრდება 20 პროცენტით. მინდა, შეგახსენოთ, რომ ჩვენ იანვარში 10 პროცენტით გავზარდეთ ხელფასები ყველა საჯარო მოხელისთვის, 2023 წლის იანვარშიც ასევე გაიზრდება ყველა საჯარო მოხელისთვის ხელფასები და ეს ზრდა გაგრძელდება მომდევნო წლებშიც.

ამას გარდა, მინდა ვთქვა, რომ პოლიციელებისთვის, ჯარისკაცებისთვის სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებული გვაქვს საცხოვრებელი ბინების მშენებლობაც. „ჯარის ქალაქი“ სრულდება, რამდენიმე თვეში გავხსნით და 1 000-ზე მეტ ჯარისკაცს გადავცემთ საცხოვრებელ ბინებს. ეს პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება.

ახლა, რამდენიმე კვირაში დავიწყებთ პოლიციელების ქალაქის მშენებლობას. 1 000-ზე მეტი პოლიციელი მიიღებს ამ ბინებს და, რა თქმა უნდა, ეს იქნება გრძელვადიანი პროგრამა.

ასევე გათვალისწინებული გვაქვს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის პოლიციის შენობების რემონტი, ბაზების მშენებლობა-რემონტი, შეიარაღება, აღჭურვილობა, ახალი მანქანები და ასე შემდეგ“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მომდევნო წლისთვის მსოფლიო დონის ვარსკვლავების კონცერტები იგეგმება

– ამის შესახებ განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ბოლო სხდომაზე გააკეთა.

„მაისის ბოლოდან, ივნისში, ივლის-აგვისტოში მსოფლიო დონის ვარსკვლავების ჩამოყვანა იგეგმება. თბილისის სტადიონზე, ბათუმში, „ბლექსი არენაზე“, ყველგან უნდა იყოს მსოფლიო დონის ვარსკვლავების კონცერტები. ამ პროგრამაზე ვმუშაობთ და მოგვიანებით საზოგადოება მიიღებს ინფორმაციას“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ჯუანშერ ბურჭულაძე: ის დანაპირები, რაც ჯარის მიმართ პრემიერის დროს გაიცა, ყველაფერი შესრულდა



საქართველოს **თავდაცვის მინისტრმა ტელეკომპანია „პოსტვ“-ის გადაცემაში „პოლიტიკურ ინტერვიუში“ ცალკეული მედიასაშუალებების მხრიდან ჯარის მიზანმიმართულ დისკრედიტაციაზე ისაუბრა.**

მისი განცხადებით, ჯარის განვითარებისთვის ყველა მიმართულებით გარდამტეხი ნაბიჯები გადაიდგა. ზოგიერთი ჟურნალისტის დაუსაბუთებელ კრიტიკასთან დაკავშირებით კი, მან ანალოგი ისტორიიდან დაასახელა.

„დღევანდელ მოვლენებსა და ერეკლე მეორის დროინდელ მოვლენებს შორის პარალელი შეიძლება გავავლოთ, როდესაც სხვადასხვა, არ აქვს მნიშვნელობა, საზოგადოების ოფიციალური თუ არაოფიციალური წევრები ამბობდნენ, რომ ერეკლე მეორეს არ ჰყავს მეზარბაზნეები. ეს რას ემსახურება მარტივი მისახვედრია.

ეს არის მესიჯი ჩვენს მტრებთან, რომ ქართულ ჯარში არის პრობლემები. ეს ასე ნამდვილად არ არის. ჩვენ ძალისხმევას ნამდვილად არ ვიშურებთ. პრემიერის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შემდეგ, ფაქტობრივად, გარდამტეხი ნაბიჯები გადაიდგა ქართულ ჯარში როგორც სოციალური, შეიარაღების და, ზოგადად, ყველა მიმართულებით. თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ ის დანაპირები, რაც ჯარის მიმართ პრემიერის დროს გაიცა, ყველაფერი ზედმიწევნით შესრულდა“, – აღნიშნა მან.

ჯუანშერ ბურჭულაძემ ინტერვიუში ძართული ჯარის მიმართ წარმოებულ ორკესტრირებულ კამპანიაზე, უარგუმენტო კრიტიკაზე, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევასა და ჯარის საზოგადოებისგან გაუცხოებაზე ისაუბრა.

„ხალხის ძალა“:

ამერიკა საქართველოს მეორე ფრონტისთვის ამზადებდა!

(პირველი გვერდიდან) **ბავშვისთვისაც კი ცხადია, თუ რა შედეგს გამოიღებდა საქართველოს ხელისუფლების მიერ როგორც უკრაინისთვის შეიარაღების გადაცემა, ისე ამერიკიდან შეიარაღების მობილიზება. ამით ძალიან მარტივად შეიქმნებოდა საბაბი რუსეთის სამხედრო ინტერვენციისა და მეორე ფრონტისთვის, რის გარშემოც რადიკალურ ოპოზიციას თებერვალ-მარტში ღია კამპანია ჰქონდა გაშლილი.**

აქ მთავარი ის არ არის, მართალია თუ არა ვაშაძის, ბოკერიას, უტიაშვილის, დოლიძისა და სხვების მიერ გავრცელებული ინფორმაცია. ამ ადამიანებს ტყუილი ბევრჯერ უკადრიათ და დარწმუნებული ვართ, ამ კუთხით, თავს არც ამ შემთხვევაში დაზოგავდნენ. აქ მთავარი ისაა, რომ ეს ადამიანები დავალების გარეშე არცერთ განცხადებას არ აკეთებენ.

შეგახსენებთ, რომ ახალი კამპანიის ინიციატორი ის გიორგი ვაშაძეა, რომელსაც რამდენიმე თვის წინ, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის არმინიჭებამდე ცოტა ხნით ადრე, „უფლება მისცეს“, ვაშინგტონიდან ამერიკის სახელით საქართველოს ხელისუფლებას გადატრიალებითა და რიგგარეშე არჩევნებით დამუქრებოდა. ჩვენ რამდენჯერმე ვთხოვეთ ამერიკის ელჩს, ვაშაძის ამ განცხადებას გამიჯვნოდა, თუმცა, ყოველ ჯერზე პასუხად დუმილი მივიღეთ.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, თუ რაში დასჭირდა საელჩოს ამ ადამიანებისთვის ეთქმევინებინა, რომ ამერიკა ჩვენს ქვეყანას დამანგრეველი მეორე ფრონტისთვის ამზადებდა.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ საელჩო ყველანაირად ცდილობდა, საქართველოს ხელისუფლება ომზე დაეყოლიებინა, რაზეც ღიად ზრუნავა მათ ჯერ კიდევ უკრაინაში ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყეს. თუმცა, როდესაც ხელისუფლებისგან ეს შედეგი ვერ მიიღეს, საზოგადოების რეაქცია მოსინჯეს. საელჩომ ომის დაწყებისთანავე, განსაკუთრებით თებერვალ-მარტში, გიგაურის, ლომჯარიას, მარგველაშვილის, ილვესის, პოდოლიაკის, დანილოვის და სხვათა პირით არაერთხელ სცადა, ქართულ საზოგადოებაში მეორე ფრონტის იდეა მოემწიფებინა. თუმცა, როგორც კი დაინახეს, რომ ქართულმა საზოგადოებამ რუსეთთან ომს მშვიდობა და ორნიშნა ეკონომიკური ზრდა არჩია, კამპანია მაშინვე შეწყვიტეს და პირიქით, საყოველთაო თავის მართლებაზე გადავიდნენ, არც ჩვენ და არც ჩვენს ქართველ თანამშრომლებს მეორე ფრონტი არ გვინდაო.

თუმცა, ახლა, იმ ფონზე, როდესაც უკრაინამ ფრონტზე წარმატებებს მიაღწია, როგორც ჩანს, საელჩომ ქართული საზოგადოების განწყობის ხელახლა გატესტვა გადაწყვიტა. თუ საელჩო დაინახავს, რომ საზოგადოების უარყოფითი რეაქცია საკმარისად მძაფრი არაა, მეორე ფრონტის კამპანიას ხელახლა აქტიურად წამოიწყებს და ამ კამპანიაში შეიძლება თავადაც კი ღიად ჩაერთოს. საელჩოს სურვილი, საქართველოში მეორე ფრონტი გაჩაღდეს, აშკარად იმდენად ძლიერია, რომ მათ კარტების ხელახლა გახსნა დაიწყეს და ამ თემაზე მათი გამორჩეული ფავორიტები აალაპარაკეს.

რადიკალური ოპოზიციის ეს განცხადებები ადასტურებს, რომ საქართველოში მეორე ფრონტის საფრთხე ჯერ კიდევ გადავლილი არაა და როგორც ხელისუფლებას, ისე საზოგადოებას განსაკუთრებული ყურადღება მართებთ, რათა შეცდომა არ დაუშვან და ეს საფრთხე საბოლოოდ ავიცილოთ თავიდან.

დასასრულს, ამ შემთხვევაშიც მოვუწოდებთ ამერიკის ელჩს, გამოვიდეს და საჯაროდ უარყოს რადიკალური ოპოზიციის განცხადებები, საიდანაც ირკვევა, რომ ამერიკა საქართველოს მეორე ფრონტისთვის ამზადებდა. წინაალმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებას ექნება სრული უფლება იფიქროს, რომ ეს განცხადებები სინამდვილეს შეესაბამება და საელჩოს თავის მართლება იმის თაობაზე, რომ მას საქართველოში ომი არ უნდა, ფარსი და ქართველი ხალხისთვის თვალის ახვევის მცდელობაა“!..

კელი დეგნანი კატეგორიულად უარყოფს

ბოლო დროს გავრცელებული განცხადებები საქართველოსთვის თავდაცვის აღჭურვილობის სავარაუდო გადაცემასთან დაკავშირებით სავსეა უზუსტობებით და არასწორია.

კელი დეგნანს კითხვა დაუსვეს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის, გიორგი ვაშაძის განცხადებაზე, სადაც ის ამბობს, რომ „უკრაინაში ომის დაწყების მომენტიდან, ამერიკულმა მხარემ საქართველოს მთავრობას შესთავაზა თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის მრავალმილიარდიანი პაკეტი, რაზეც „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა“.

„მთელ მსოფლიოში მოვუწოდეთ პარტნიორებს და მოკავშირეებს, შეძლებისდაგვარად გეკეთებინათ ყველაფერი უკრაინის დასახმარებლად პუტინის სასტიკი ომის წინააღმდეგ, რადგან უკრაინა იბრძვის სუვერენიტეტისთვის, დამოუკიდებლობისთვის და თავისუფლებისთვის, როგორც ერი. თავიდანვე ცხადად ვთქვით, რომ თითოეულ ქვეყანას თავისით უნდა გადაეწყვიტა, რისი გაკეთება შეეძლო საქართველოს დასახმარებლად. ჩვენ ასევე ცხადად ვამბობდით, მათ შორის საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომ არასდროს გვითქვამს საქართველოსთვის, გაეხსნა მეორე ფრონტი, არასდროს მოგვიხდენია ზეწოლა საქართველოზე, რომ ჩართულიყო ამ ომში. აშშ-ის არ სურს, საქართველო ჩართული იყოს ამ ომში ან რომელიმე სხვა ქვეყანა. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ომი შეჩერდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად, რომ შევძლოთ რეგიონში მშვიდობისა და კეთილდღეობის აღდგენა. სწორედ ამისთვის მუშაობს აშშ-ი, მშვიდობა და უსაფრთხოება“, – განაცხადა კელი დეგნანმა.

ჭკუიდან გადასული ნახევარი საქართველოს

უსაქციელობის ქრონიკები

ნეოლიბერალიზმის თანმდევი ერთ-ერთი დიდი უბედურება უმადურობის კულტივირებაა (დანერგვა) საზოგადოებაში.

უმადურობა პიროვნების გამხრწნელი ფსიქიკური მდგომარეობაა, რაც პირდაპირ აისახება უმადურების ფიზიკურ კონსტრუქციაზე. აბა, დააკვირდით ცნობილ ქართველ უმადურებს, რას ჰგვანან და რას დაამგვანეს ისინი თავიანთმა უზნეო და უტვინო მოძღვრებმა: აღარც კაცებს ჰგვანან და აღარც ქალებს, ზოგს ენა აღარ ეტევა პირში და საზიზღრად თლიფინებს; ზოგს ენის მუხრუჭები აქვს მოშლილი და რას ტატყანებს, ეშმაკი თუ გაუგებს მხოლოდ; ზოგს თვალები გაურბის აცაბაცა და ზოგი ისე გამოიყურება, თითქოს თავისსავე დაკრძალვას ესწრებოდეს...



აი ასეა მათი საქმე!

ერთ-ერთ უმადურს **„კუპონას“** რომ ვუსმენ, ერთი ამბავი მახსენდება, რაც გურიაში მოხდა 20-იან წლებში. ამ ფაქტის შესახებ თვითმხილველებმა მიამბეს ახალგაზრდობაში. მაშინ, მოგეხსენებათ, ათეიზმი მძვინვარებდა და აქ „მებრძოლ ათეისტთა კავშირიც“ იყო ჩამოყალიბებული, აი, ასეთი, ახლა რომ არის „კმარა“, „სირცხვილია“ და სხვები. გურიის ერთ-ერთ სოფელში „მებრძოლმა ათეისტებმა“ ხატები გამოიტანეს ეკლესიიდან, ეზოში დაყარეს და ერთმა აქტივისტმა მაუზერით დაცხრილა ისინი, თან გაიძახოდა: „აბა, რას მიზამ“, „აბა, რას მიზამო“. იქვე მდგარმა ერთმა მხცოვანმა გურულმა შეუძახა: გაგაგიჟა ყაზახო და რა გიქნას მეტიო. ასეა დღესაც! ნეოლიბერალიზმის ტყვეობაში მყოფებს ახლაც ეძახიან ჭკუათმყოფელები, გაგიჟებულხართო, მაგრამ ესმით რამე? გიჟს რას შეასმენ, ნეტავი! მხოლოდ უფლის რისხვა მოიყვანს მათ ჭკუაზე, თუ მანამდე არ გამოუტანეს საკუთარ თავს განაჩენი.

უმადურობა დიდი ცოდვაა, რაც არასდროს დარჩენილა დაუსჯელი და არც ახლა დარჩება, ჩვენ უმადურობის დიდი მაგალითი შემოგვინახა „ამირანის“ უკვდავმა ეპოსმა.

გახსოვთ, ალბათ, ამირანი მომაკვდავი დედის მუცლიდან ამოიყვანა მონადირემ, წაიყვანა შინ და საკუთარ შვილებთან ერთად დაუწყეს გაზრდა მონადირემ და მისმა ცოლმა... მითის თანახმად, ამ დროს იმ სოფელში ქრისტე ღმერთმა განკაცებული სახით გაიარა, იმ მონადირის სახლში შევიდა, რომელმაც დედის მუცლიდან ამოყვანილი ჩვილი წამოიყვანა სახლში და უფალმა დალოცა ახალშობილი, უსაზღვრო ძალღონე და საარაკო უნარები დაანათლა და გაეცალა. ამირანი, მართლაც, საოცარი სისწრაფით იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა, მისი მომრევი აღარავინ დარჩა ქვეყანაზე და ბოლოს აიხირა, ჩემს ნათლიას უნდა დავეჭიდო, ვინც ესოდენ ძალ-ღონე დამანათლაო. უფალი მალე ისევ გამოჩნდა იმ სოფელში, ამირანი მივიდა მასთან და უთხრა, ნათლიავ, უნდა მეჭიდო, უნდა გავიგო ვინ არის ჩვენს შორის უძლიერესიო. ამირან, შვილო, ნათლიასთან ჭიდილი ვინ გაიგონაო, — უსაყვედურა უფალმა, არა, უნდა დამეჭიდოო, მინდა გავიგო ვინ არის ჩვენში ძლიერიო. კარგიო — უფალმა, — აი, ამ ჩემს ხელჯოხს ჩავასობ მიწაში და თუ ამოიღებო. ჩაასო ხელჯოხი უფალმა, ამირანმა ამოჰკრა თითი და ამოაგდო. უფალმა მეორედაც ჩაასო, — ამირანმა ისევ ნეკა თითის ამოკვრით ამოაგდო და გაჯავრებულმა უთხრა, რას მეთამაშები, თუ შეგიძლია მეჭიდავე, თუ არა და შენი გზით წადიო. მაშინ უფალმა მესამედ ჩაასო ხელჯოხი და შეუთქვა. ისეთი ფესვები გაიდგი, ქვეყანას რომ გარს შემოერტყასო, დაეძგერა ამირანი ხელჯოხს, მაგრამ ძვრა ვერ უყო. მაშინ უფალმა უმადური ნათლული კავკასიის ერთ დიდ კლდეზე მიჯაჭვა, მოსამსახურედ ერთი ფინია დაუნიშნა, რომელიც პურსა და წყალს უზიდავდა სასჯელმისჯილს. დღესაც იქ არის, ლეგენდაში ჩარჩენილი უმადურობის მაგალითი!

ასეთია უმადურის ხვედრი დ ბედისწერა. დიდი აკაკი კი ამბობს, რომ **„მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა-გმირია“**-ო, მაგრამ დიდ პოეტს ამირანი სხვა სიმბოლოდ ჰყავს წარმოდგენილი, იმ სიმბოლოდ, რომელიც ძალიან სჭირდებოდა მაშინდელ საქართველოს, ის უმადური ამირანი კი იმ ჯაჭვს ვერ გაწყვეტს, თუ გულწრფელად არ მოინანიებს თავის უმადურობას და უზენაესის რწმენას არ შედგება.

აბა, ნახეთ დღევანდელი უმადურების საძმე და საძციელი, თუ მართლა ღვთისგან დაწყევლილებს არ ჰგვანან!

რა უნდათ ამ ოხრებს, ნეტავი, ასე რამ გააჩათლახათ, რომ თავიანთი სამშობლოს მიმართ სიყვარულის ნატამალი რომ არ გააჩნიათ. „ღმერთო, შენ შეაყვარე ქართველებს საქართველო, რამეთუ ამ უკანასკნელს არაფერი დაუშავებია მათთვისო“, გულნატკენი სჩიოდა დიდი ვაჟა. მაშინ ამ უმადურობას გენიოსი ვაჟას თვალი ამჩნევდა, ახლა კი მხოლოდ ბრუციანი ვერ ამჩნევს ჩვენს გარშემო მომრავლებულ უმადურებს.

უმადური კაცები ყოველთვის იყვნენ ჩვენშიც და სხვაგანაც, მაგრამ დღეს მათი ასეთი სიმრავლე იმ ავადსახსენებელი ნეოლიბერალიზმის შედეგია, რომელიც პანდემიასავით მოედო ნახევარ მსოფლიოს და სალი აზროვნების უნარი წაართვა მის გავლენაში მოქცეულ არსებებს (ადამიანებს ადამიანები რომ იყვნენ ადრე). კარგა ხანია ჩვენშიც დაიწყო ამ სატანისტური „მსოფლმხედველობის“ კულტივაცია და პირველ რიგში არაქართველი ქართველების ტვინებში გაიფოთლა. რა მიზანი აქვს ამ მახინჯების „იდეოლოგიას“? არაფერი წმინდა, სათაყვანებელი, მისაბაძი და სანიმუშო არ უნდა დარჩეს ჩვენს გარშემო — არც წესი და ადათი, არც ტრადიცია, არც აზრი და არც კაცი, უზნეობა უნდა იქცეს პროგრესულობად, ზნეობრიობა ჩამორჩენილობად და სიბნელედ!

ნეოლიბერალების უპირველესი ამოცანაა ის, რომ ეროვნული გმირების შესახებ ჰეროიკული წარმოდგენები გაუქარწყლონ ხალხს. რა უნდა ჰქმნა საამისოდ? ეროვნულ გმირებს სიმხდალეს ვერ დააბრალებ, ნამეტნავად აშკარაა მათი გმირობა და სიმამაცე, თანაც მათი სიმამაცე არა მარტო ჩვენ ვიცით, არამედ სხვებმაც. გიორგი სააკაძის სიმამაცესა და გმირობაზე ლეგენდები ვრცელდებოდა ირანსა და თურქეთში და უფრო შორსაც, აბა, როგორ უნდა გააქარწყლო მისდამი პატივისცემა და სიყვარული? ღალატი უნდა დააბრალო! ერთი ფსევდოქართველი „მწერალი“, რომელსაც ნიჭიერი მწერლის იარლიყი მიაწებეს ნეოლიბერალიზმის ადეპტებმა, თავგადაკრული ქადაგებდა გიორგი საакაძე მოღალატე იყოო. ტაშისკრის, მარაბდისა და მარტყოფის გმირი, რომელმაც საკუთარი ვაჟიშვილი ზვარაკად შესწირა სამშობლოს, მოღალატე იყოო! ეს უმადურობის მაგალითი, თავისიანების სახელით მოითხოვდა გიორგი სააკაძის ძეგლები, ბერძენიშვილის დიდებული ქანდაკებებით დავანგრიოთ კასპსა და თბილისშიო?!

ერთმა გონებით, ზნეობითა და საერთოდ ყოველმხრივ მახინჯმა არსებამ, რომელსაც წერა-კითხვის მცირემცოდნენი და უმეცარნი ინტელექტუალად მიიჩნევენ, თავისი ბინძური კბილებით გმირ ლეგენდარულ მეფესა და მეომარს ერეკლე მეორეს — პატარა კახს შეულრინა, იმ მეფეს, რომელზეც მეფე ფრიდრიხ დიდს უთქვამს: „დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში გეორგიანთ მეფე ერეკლეო“, ეს სულელი „ინტელექტუალი“ კი საქვეყნოდ გაიძახის — ერეკლე მოღალატეაო. „მე იმ ქვეყანას რა ვუთხარ, სადაც სიკეთე ძვირია, ერეკლე მოღალატეა, ბრიყვი „ლექტორი“ გმირია!“ **(ხალხური)**.

ამ „ლექტორის“ ვინაობა იციან, ეს ის „ინტელექტია“, რომელიც უმეცარ სტუდენტებს ეუბნებოდა: ილია ჭავჭავაძეს, როგორც მწერალს მე არ ვიცნობო! ამ ჩემს ფეხებს თუ არ იცნობს, ვიღაც ბრიყვი, ციხეში ცნობილი „ნასედკა“, მაგრამ იმ მშიშარა რექტორს რა უნდა ვუთხრა, რომელიც მას საშუალებას აძლევს ე.წ. ლექციები წაუკითხოს ახალბედა სტუდენტებს, რომლებსაც ჯერ ხეირიანად წერა-კითხვა არ უსწავლიათ (დღეს ეს ასეა არა მარტო აქ, არამედ ნახევარ მსოფლიოშიც). ესაა ნეოლიბერალური საგანმანათლებლო საქმიანობის (თუ უსაქმურობის) შედეგი.

რას ემართლებიან უბადლო პატრიოტს, უებარ მეომარსა და სარდალს, რომელიც ეროვნულ გმირად მიაჩნია მთელ საქართველოს? ანდა, რა უმადურობა სჭირთ დიდი ილიას მიმართ, რომელმაც დაცემული ეროვნული მეობის აღდგენას შეალია მთელი ცხოვრება და მოწამეობრივად აღესრულა უმადურ ბრიყვთა ხელით! ილია რა მწერალია მე რომ ვიცნობდეო, — ამ უვიცმა!

შე ვირო, „კაცია ადამიანის“ დონის ნაწარმოები ბევრი წაგიკითხავს? თუ „წაიკითხე, ვერ გაიგე, რადგან დაბადებიდანვე იყავ ვიროსანი“ (ხალხურის პერიფრაზი).

ამ ვირმა ერთხელ რა თქვა იცით? რაღა დროს გურამიშვილია, მის აზრებს რომ იმოწმებთ, ის ხომ სამასი წლის წინ ცხოვრობდაო! თავისი თავი ანტიკური მწერლობის მცოდნედ მიაჩნია და ის კი არ ახსენდება, ანტიკური მწერლობა მინიმუმ 2500 წლის რომ არის! არა, უმადურები ყოველივე ეროვნულის მიმართ არიან, თორემ სხვას „კუკი“ ობოლ მარგალიტად მიაჩნიათ! არ ასცდეთ „კუკები“ არც აქ და არც „იქ“!

ბრძენკაცმა, დიდმა ილიამ, რომელიც დღეს წმინდა ილია მართლად მოიხსენიება, თავის „ბედნიერ ერში“ ძართველი ერის უვარგის ნაწილს რომ ახასიათებდა, ასეთი ფრაზა გამოიყენა: „მტრის ვერ მცნობი, მოყვრის მგმობი...“ მოყვრის გმობა უმადურობაა და სწორედ ეს თვისება მიიჩნია იმ უვარგისი ძართველების დამახასიათებელ თვისებად, რომლებიც სხვა ბევრი ულირსობის მატარებლები იყვნენ და, სამწუხაროდ, ახლაც არიან. აყროლებული სისხლის მატარებლები იყვნენ, არიან და კვლავაც იძნებიან, მაგრამ მათი ზეობა არ უნდა დაუშვას ერმა, თუ ის ჯანმრთელი და გონიერია, ასეთები აღლუმებსა და მიტინგებს კი არ უნდა აწყობდნენ, ხელისუფლებაში კი არ უნდა ისხდნენ, საზოგადოებაში გამოჩენასაც ვერ უნდა ბედავდნენ! დღეს კი რა ხდება? ჩვენს მიერ არჩეული პარლამენტი იმაზე მსჯელობს, სად იტატყანა ხაზინის ძურდმა, უგულავამ, ხაბეიშვილმა, სად იბრაგუნა მუშტები ფაშაზე კლინიკურმა გიჟმა მშვილდაძემ, სად რა მოგბოდეს უცხო ძვეყნის აგენტებმა დეკანოიძემ და ხოშტარიამ, ან რა განაცხადა საეჭვო წარმოშობის სამადაშვილმა, იძნებ ამას იმიტომ აკეთებს ხელისუფლება, რომ ამ სულელების გვერდით თვითონ გამოჩნდეს ჭკვიანი, ამაო მცდელობაა ეს! ნაღდი ძართველი სომეხი საიათნოვას ზუსტის შეფასება გაიხსენეთ: „გოგრა არ გახდება შირაზის შუშა, რა გინდ მაღლა თახჩაშიაც შაიდოს!“

ვიღაც ჭკუიდან გადამცდარის ნაბოდვარი სერიოზულ სამსჯელო საგნად რომ გაგიხდია, დღენიადაგ ტელეეკრანზე რომ გამოკიდებ მათ სიფათებს, არც შენ ხარ მაშინ ჭკვიანი და ღირსეული კაცი! ვერ ხვდებით ამას?

იციან ჩემმა მკითხველებმა, რომ მე არ ვარ ბიძინა ივანიშვილის მეხოტბე და საამისო მიზეზიც მაქვს (თუნდაც სისხლის სამართლის დამნაშავეთა დასჯის ნაცვლად კოჰაბიტაცია, ნაცბანდის, როგორც პოლიტიკური პარტიის გადარჩენის იდეა და მისი განხორციელება), მაგრამ იმ დიდი ქველმოქმედების დაუნახაობა, რაც მან საქართველოში და საქართველოსთვის გააკეთა, უმადურთა ჰიპერტროფიული გამოვლინებაა. ეს უდღეურები საქართველოს ყველა უბედურებას მას აბრალებენ და იმისათვის იჭაჭებიან, რომ განაკულაკონ და ქვეყნიდან გააძევონ იგი, ეს ამბავი კი არ მიკვირს, უმადურმა ქართველებმა დიდი ილია მოკლეს და ბიძინა ივანიშვილი რომ გაიმეტონ, რა გასაკვირია, მაგრამ ის მიკვირს, რატომ არიან ეს ვიგინდარები სასათბურე პირობებში გიორგი სააკაძის და მეფე ერეკლეს, ილია ჭავჭავაძის და ბიძინა ივანიშვილის მაგინებლებთან ერთად. ფული ამათ არ აკლიათ, საზღვარს აქეთ და იქით მოგზაურობა და ბევრი სხვა რამეც, ეს უმადურები ქართველთა ეროვნულ სხეულს შლიან და ჩვენ მათთან დებატების რეჟიმს ვერ გავცდით!

ფუჰ! ფუჰ! ფუჰ!

საშველი არ არის? უფლის იმედად რომ ვართ, კარგია, მაგრამ უფალი ბრძანებს — გიშველი, მაგრამ შენც გაანძრიე ხელიო, ეს ისე ვთქვი, თორემ მე რა ვიცი, უფალი რასა ბრძანებს, მაგრამ ის კი ვიცი, ღვთის მადლი მხოლოდ გამრჯე კაცზე გადმოდის.

უმადურობის შეწყნარებაც უმადურობაა!

ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

№155-156. ორშაბათი-სამშაბათი, 3-4 ოქტომბერი, 2022 წელი.

ინტერვიუ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ (GIPA) საერთაშორისო ურთიერთობათან პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესორ თორნიკე შარაშენიძესთან:

ლუკაშენკო ბიჭვინთაში, უბრალოდ, ყველისა და ხაჭოს შესატანად ჩავიდა???



— ბატონო თორნიკე, ოკუპირებულ აფხაზეთში ბელარუსის ლიდერის ვიზიტზე უნდა გკითხოთ. მყიფე რომ იყო მისი დამოკიდებულება საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმართ, ისედაც ვიცოდით, განსაკუთრებით 2020 წლის პროტესტის ძალადობრივი გზით ჩახშობის შემდეგ, როდესაც მისი ვალები კრემლის მიმართ გაიზარდა. გვახსოვს მისი განცხადება, როდესაც ანექსირებული ყირიმი რუსეთის ნაწილად მოიხსენია და ვლადიმირ პუტინთან ერთად ნახევარკუნძულზე ჩასვლა დააანონსა, მაგრამ არ ჩასულა. აფხაზეთზეც განაცხადა, „ვაღიარებ, თუ პუტინი მთხოვსო“, თუმცა საქმე ჯერ აქამდე არ მისულა. ვხედავთ იმასაც, რომ უკრაინის ომში ბელარუსის შეიარაღებული ძალების უშუალო ჩართვას მაქსიმალურად გაურბის, ვაჭრობს რუსეთთან, მაგრამ რატომ ახლა? ახლა რატომ ჩავიდა აფხაზეთში?

— კარგი კითხვაა. ოდესღაც უნდა მომხდარიყო, რადგან დიდი ხანია, მას ექაჩებიან „სამოკავშირეო სახელმწიფოში“ და როგორც ჩანს, დროს წელავს (ის დროის გაწელვის და მანევრირების ცნობილი ოსტატია) და რაღაც უნდა გაეკეთებინა — კეთილი ნების ჟესტი და მან ამგვარი ჟესტი არჩია.

— ანუ, თან რუსეთთანაა და თან დროს წელავს...

— დიახ. ვუსმინე ბჟანიასთან მის საუბარს. მან ახსენა ვლადიმირ პუტინი, როგორც უფროსი ძმა, მაგრამ იმავდროულად თქვა, რომ „საქართველოს მთავრობამ ძალიან კარგად ილაპარაკა თქვენზეო“ — პოზიტიურად ილაპარაკა საქართველოზე. ეს ალბათ (ყოველ შემთხვევაში, იმედს ვიტოვებ), იყო „სიგნალი“ ჩვენს მიმართ, რომ იძულებული იყო, ჩასულიყო და რომ არაფერს აფუჭებს ჯერ-ჯერობით. ხოლო რამდენ ხანს გააგრძელებს მანევრირებას, ეს არავინ იცის. მას ნამდვილად არ უნდა, პუტინს ჩაჰ ყვეს საფლავში, ამიტომაც, ჯერ უყურებს, რა ხდება ფრონტზე და ვიდრე არ დაინახავს, რომ იქ რუსეთი ნამდვილად იგებს, მგონია, რომ მანამდე შეეცდება, გაწელოს დრო. თუ დაინახავს, რომ რუსეთი აგებს, რა თქმა უნდა, შეეცდება, მეორე „ნავში“ გადახტეს, თუ ეს გამოუვა. ვფიქრობ, დასავლეთმა მას ამის საშუალება უნდა მისცეს: არ შეიძლება მასზე სამუდამოდ გაბუტვა, მით უმეტეს, თუ პუტინისგან ჩამოშორებას გადაწყვეტს. ამდენად, მრჩება შთაბეჭდილება, რომ მანევრირებს — ხან რას გადაუდებს პუტინს, ხან რას... პუტინიც ხვდება, რომ ლუკაშენკო დროს წელავს, მაგრამ რა ქნას...

— აფხაზეთში დაისვა კიდეც კითხვა აღიარებაზე და მან პასუხს თავი აარიდა...

— დიახ. მგონია, რომ ამას ჯერ არ აპირებს. ალბათ, სიმბოლურად შეიტანს აფხაზეთში ყველს და ხაჭოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამის იქით წასვლა ჯერ-ჯერობით არ უნდა. ვიცით, რომ ის სულელი პოლიტიკოსი არ არის და ვიცით ისიც, რომ მას დროის გაწელვა მშვენივრად ეხერხება. უკრაინის ფრონტზე რა ხდება, ეს გადაწყვეტს ყველაფერს, მათ შორის, ლუკაშენკოს ორიენტაციასაც.

— თავად ის გარემოება, რომ ბიჭვინთაში ჩავიდა და არა სოხუმში, ფიქრობთ, რომ საყურადღებოა?

— ჩემი აზრით, ესეც მნიშვნელოვანია, თან ბელარუსის მთავრობამ არაოფიციალურ დონეზე დაიყვანა ეს ვიზიტი და ესეც საინტერესოა — ესეც „სიგნალია“, რომ ჯერ-ჯერობით ახერხებენ დროის გაწელვას. ამ დროს სიმბოლოებსაც აქვს მნიშვნელობა. აღიარება უფრო საზეიმო ვითარებაში მოხდებოდა და უფრო მქუხარე სიტყვით გამოვიდოდა.

— ან მინსკიდან გაჟღერებაში რა შეუშლიდა ხელს, როგორც ეს ვენესუელამ და სირიამ გააკეთეს...

— რა საკვირველია. ნამდვილად საინტერესო იყო მისი გამოსვლის შინაარსიც: არ იყო მქუხარე სიტყვა — ბიჭვინთაში რაღაც მეგობრობაზე იყო საუბარი, ხალხის ბედნიერებაზე და არა აფხაზეთის სახელმწიფოზე. მას მსგავსი ტერმინები არ უხსენებია. თქვა, რომ აფხაზეთი რუკაზე არის და რომ არ უნდა გაქრეს. ვნახოთ რა მოხდება. ამდენად, მისგან წამოსული „სიგნალების“ ფონზე, ვფიქრობ, ამ ეტაპზე ჩვენგან ამაზე უფრო მკაცრი რეაგირება არ არის საჭირო. მკაცრ რეაგირებას ჩვენ ყოველთვის მოვასწრებთ და სამწუხაროდ, თუ პუტინი აიძულებს და მაინც გადაწყვეტს აღიარებას, ამას ხელს ვერ შევუშლით და ეს ვიცით. ამიტომ, ჯერ-ჯერობით სჯობს, მშვიდად ვიყოთ. მე მგონი ეს უკეთესი იქნება. ელჩის დაბარება ადეკვატური პასუხი იყო, იყო პრემიერ—მინისტრის განცხადებაც. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ამის იქით არ უნდა წავიდეთ: თუ ახლა ძალიან გავამწვავებთ, ცხადია, ამით რუსები ისარგებლებენ, ეტყვიან, „ხომ ხედავ, როგორ გექცევიან ქართველები, როგორ გელაპარაკებიან...“. ამდენად, ვიმეორებ, გამწვავება ამ ეტაპზე არ არის საჭირო.

— გამოითქვა შიშები, რომ თუ ლუკაშენკომ ვერ გაუძლო ზეწოლას და სამწუხაროდ, მაინც მივიდა საქმე აღიარებამდე, ამას სხვა რესპუბლიკებიც მიჰყვებიან. საიდან ველით მსგავს პოტენციურ რისკებს?

— თუ რუსეთმა სხვებიც შეითრია ამ ახალ „სამოკავშირეო სახელმწიფოში“, მათაც შეიძლება, მოსთხოვოს იგივე. ჯერჯერობით მხოლოდ ყირგიზეთზე მიდის საუბარი. ისიც დროს გაწელავს — დაელოდება უკრაინაში მოვლენების განვითარებას. მგონია, რომ ასე მარტივად ამგვარ ნაბიჯს ვერც ერთი ვერ გადადგამს, რადგან ახლა გადამწყვეტი მომენტია — რუსეთთან დადგომა, თუ მან ომი წააგო, მორევში ჩაყოლას ნიშნავს. ზუსტი ანალოგი არაა, მაგრამ დაახლოებით იმგვარი სიტუაცია იქნება, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს იყო გერმანიის მხარეს ყოფნა. ამიტომაც, თავს შეიკავებენ და დროს დიდხანს გაწელავენ ყველანი. აი, რამდენ ხანს გააჭიანურებენ, ესაა ძალიან მნიშვნელოვანი. პუტინს ეს ახალი „სამოკავშირეო სახელმწიფო“ 2024 წლისთვის სჭირდება, როცა მას ვადა ეწურება. ამდენად, ალბათ, მინიმუმ, ერთი წელი კიდევ აქვთ ამ სახელმწიფოებს მანევრირებისთვის და, რა თქმა უნდა, უკრაინის ფრონტზე განვითარებულ მოვლენებს დაელოდებიან.

— იყო ცნობები, რომ სერბეთთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები...

— სერბეთი გამორიცხულად მიმაჩნია: მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება — მასზე მყისიერად გავრცელდება სანქციები. ეკონომიკურად ისედაც არც თუ კარგ მდგომარეობაშია და ევროკავშირის სანქციები მნიშვნელოვნად დაარტყამს, ხოლო რუსეთი მის ეკონომიკას ვერ უშველის, მით უმეტეს, რომ შორსაა. რა თქმა უნდა, ალბათ სომხეთზეც მუშაობენ, მაგრამ არ მგონია, ეს მარტივად გამოუვიდეთ.

— ეს სომხეთისთვის უმძიმესი იქნება — საქართველო აკავშირებს მას ცივილიზებულ სამყაროსთან...

— დიახ და ვფიქრობ, არ გამოუვათ: ამ მხრივ სომხეთს ძალიან ბევრი რისკები აქვს, მაგრამ ამისთვის სომხეთს აზერბაიჯანთან ურთიერთობების ბოლომდე დარეგულირება სჭირდება, მასთან ომის განახლების რისკები რომ მოშორდეს. შემდეგ უკვე რუსეთი ერევანს ნაკლებად დასჭირდება ამ თვალსაზრისით.

სხვათა შორის, თავის დროზე, გაიაზრა რა სომხეთმა თავისი ვითარება (გეოგრაფიიდან და ჩვენთან ისტორიული კავშირებიდან გამომდინარე), კატეგორიული უარი განაცხადა ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებაზე. ახლაც ვფიქრობ, რომ სომხეთის „შეთრევა“ გაცილებით რთული იქნება რუსეთისთვის, ვიდრე ბელარუსის.

— ირანის შემთხვევაში მსგავსი რისკი გვაქვს?

— ეს არის სახელმწიფო უზარმაზარი ისტორიული გამოცდილებით და ასე მარტივად დადგეს რუსეთის გვერდით, როდესაც ამ ომში პრაქტიკულად, რუსეთის ბედი წყდება, არ მგონია.

იხ. 8 გვ.

როგორ ხვდება რუსული საფრთხე ცხინვალი?!

რუსული სამხედრო მობილიზაციის გამო მღელვარებაა ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონშიც. დე ფაქტო უშიშროების საბჭოს 27 სექტემბრის სხდომაზე „პრეზიდენტმა“ ალან გაგლოევმა ძალოვანებს რუს კოლეგებთან „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ორმაგი მოქალაქეობის მძონე მცხოვრებთა გადაადგილების წესის“ შეთანხმება დაავალა.

ადგილობრივი დამკვირვებლები ამას რუსული კომისარიატების ამასწინანდელ მცდელობას უკავშირებენ, რეგიონის მკვიდრნი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მიერ 21 სექტემბერს გამოცხადებული სამხედრო მობილიზაციისთვის დაექვემდებარებინათ.

ცნობისთვის: გასულ შაბათ-კვირას ოკუპირებული რეგიონის რამდენიმე მკვიდრს, რომლებიც უქმე დღეებში ჩრდილოეთ ოსეთში (რუსეთი) იყვნენ გადასულები, უკან დაბრუნებისას პრობლემები შეექმნა. მათ ნაწილს რუსულმა სამხედრო კომისარიატმა სამობილიზაციო უწყისები გადასცა. დანარჩენები კი, მათ შორის — ოსური დე ფაქტო უშიშროების კომიტეტის ოფიცერი, როგორც რეზერვისტები, რუსმა მესაზღვრეებმა ვლადიკავკაზიდან ცხინვალის რეგიონში აღარ გადმოუშვეს.

„მოქალაქეთა გადაადგილების წესის შეთანხმებაზე“ საუბრისას გაგლოევს სავარაუდოდ, რუსეთთან „ორმაგი მოქალაქეობის საკითხთა დარეგულირების შესახებ“ შეთანხმება ჰქონდა მხედველობაში, რომლის რატიფიცირების შესახებ კანონს პუტინმა მიმდინარე წლის 28 მაისს მოაწერა ხელი. თუმცა დოკუმენტი, როგორც ირკვევა, ამ დრომდე არ შესულა ძალაში, რადგან რუსულ და ოსურ მხარეებს სარატიფიკაციო სიგელები ჯერ არ გაუცვლიათ.

ეს ნიშნავს, რომ ცხინვალის რეგიონის მკვიდრ გაწვევის ასაკის მქონე მამაკაცებს ჰ მართებთ, რუსეთში მგზავრობისგან თავი შეიკავონ, სანამ იქ სამობილიზაციო გაწვევა არ დასრულდება, ან ე.წ. ორმაგი მოქალაქეობის საკითხი ბოლომდე არ დარეგულირდება.

ადგილობრივი დე ფაქტო ჩინოსნების გათვლით, ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთა დაახლოებით 90% რუსული პასპორტების მფლობელია, მათგან 70-80%-ს რუსეთის ტერიტორიაზე რეგისტრაცია გააჩნია. არადა, ყველა, ვინც რუსეთში ერთი წელი მაინც იცხოვრა, ისწავლა ან იმუშავა, იქაურმა კომისარიატებმა ავტომატურად აიყვანეს აღრიცხვაზე და ახლა ისინი რუსულ გაწვევას ექვემდებარებიან, რადგან „ორმაგი მოქალაქეობის საკითხთა დარეგულირების შესახებ“ შეთანხმების ძალაში შესვლამდე რუსეთის სახელმწიფო მათ პირველ „მოქალაქეობას“ არ ითვალისწინებს და რუსეთის მოქალაქეებად განიხილავს.

თავად რეგიონის მოსახლეობის პოზიცია მობილიზაციის საკითხში არაერთგვაროვანია. ადგილობრივთა ნაწილს მიაჩნია, რომ „სამხრეთ ოსეთს ჰმართებს, ამ რთულ დროს რუსეთს საპასუხო სიკეთე გაუკეთოს და მხარი დაუჭიროს“. თუმცა დიდ ნაწილს მობილიზაციაში მონაწილეობა არ სურს. ამაზე სოცქსელის ოსურ სეგმენტში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიც მეტყველებს:

- **„სამშობლოს ინტერესებიც მესმის, მისი დაცვის აუცილებლობაც, სტრატეგიული პარტნიორობაც და ყველაფერიც, მაგრამ მეტისმეტად მცირერიცხოვანი ერი ვართ და ჩვენი ბიჭების იქ წაყვანა მართებულად არ მიმაჩნია. ჩვენები უკრაინაში რუსეთს ისედაც ეხმარებიან მოხალისეებად და ვთვლი, რომ ეს საკმარისია“;**
- **„სტატისტიკური მონაცემებით, ამ დროისთვის რესპუბლიკების მიხედვით 100 000 მოსახლეზე დაღუპულთა პროცენტული ოდენობით მესამე ადგილზე ვართ. ჩვენნაირი მცირე ერისთვის ეს ძალიან ბევრია. ამდენად, ვისურვებდი, ჩვენი ბიჭებისთვის თავი დაენებებინათ“;**
- **„ისედაც კონფლიქტის ზონა ვართ და მცირერიცხოვანი ერი, კიდევ ეს გვინდა?! უკრაინაში ისედაც ბევრი ჩვენიანი დაიღუპა და არ კმარა?! მობილიზაციაში ჩვენების მონაწილეობის წინააღმდეგი ვარ“.**
- **„ჩვენ — სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა ყოველგვარი მობილიზაციის გარეშეც მხარს ვუჭერთ რუსეთს, უკრაინაში იბრძვიან ჩვენი მოხალისეები, გვყავს არაერთი დაღუპულიც... პროცენტულად, დონბასში ჩვენი მოხალისე მეტია, ვიდრე რუსეთიდან წასულები! მობილიზაციის საკითხში რაიმე სახის ძალდატანება, ვფიქრობ, მხოლოდ უკუეფექტს გამოიწვევს“...**

№155-156. ორშაბათი-სამშაბათი, 3-4 ოქტომბერი, 2022 წელი.

ქართული ფარმაცევტული მეცნიერების ქურუმი

აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის გახსენება

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ცნობილ ფარმაცევტს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს იოველ ქუთათელაძეს, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ფარმაცევტული განათლების, ფარმაკოქიმიის მეცნიერებისა და ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის სფეროში, დაბადებიდან 135 წელი შეუსრულდა.

იოველ ქუთათელაძე დაიბადა 1887 წლის 2 ოქტომბერს ხონში. მამა ადრე გარდაეცვალა და ხუთი შვილის აღზრდა დედას, საკმაოდ განათლებულ ქალს მინადორა ქელბაქიანს დაეკისრა. ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ ბატონი იოველი ოჯახის ხელმოკლეობის გამო ქუთაისის აფთიაქის მოწაფედ იწყებს მუშაობას.

1903 წელს გამოცდები ჩააბარა ჯერ პროვიზორის თანაშემწის, შემდეგ სიმწიფის მოწმობაზე და სწავლა განაგრძო ოდესაში ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტზე, რომელიც 1910 წელს წარჩინებით დაამთავრა.

1911 წელს იოველ ქუთათელაძემ ნოვოროსიის უნივერსიტეტში მიიღო ფარმაციის მაგისტრის წოდება. იმავე წელს მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტის სამედიცინო ინსტიტუტის ჯერ ფარმაციისა და ფარმაკოგნოზიის, შემდგომ კი ფარმაკოლოგიის კათედრაზე, სადაც (1915 წ.) დაიცვა დისერტაცია. ნოვოროსიის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ი. ქუთათელაძე კათედრის პროზექტორად აირჩია. 1913-1915 წლებში ლექციებს კითხულობდა სამედიცინო დების კურსებზე ფარმაციასა და ფარმაკოგნოზიაში.

1920 წელს იოველ ქუთათელაძე დაინიშნა ფარმაციისა და ფარმაკოგნოზიის კათედრის გამგედ და მიენიჭა პროფესორის წოდება. ნოვოროსიის უნივერსიტეტში ბატონმა იოველმა დიდი შრომა გასწია სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში და როგორც დიდმა მეცნიერმა, კეთილშობილმა პიროვნებამ კოლეგების დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ეს გარემოება არ გამოჰპარვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს და პროფესორი ი. ქუთათელაძე სამუშაოდ თბილისში მოიწვია.

იოველ ქუთათელაძემ სიამოვნებით მიიღო ეს მოწვევა და სამშობლოში დაბრუნდა იმ გადაწყვეტილებით, რომ თავისი გამოცდილება ქართული მეცნიერების განვითარებისათვის მიეძღვნა და ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა ახალი დარგის – წამალთა ქიმიისა და ტექნოლოგიისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია ის უდიდესი დამსახურება, რომელიც საქართველოს მეცნიერების წინაშე მიუძღვის აკადემიკოს იოველ ქუთათელაძეს. მან შემოიკრიბა მაღალკვალიფიციურ ექიმთა, პროვიზორთა, ინჟინერთა, ბოტანიკოსთა კადრები, რომლებიც დასაქმდნენ ახლადგახსნილ უმაღლეს ფარმაცევტულ სასწავლებელში – ქიმიურ-ფარმაცევტული განყოფილების სახელწოდებით.

1924 წელს ი. ქუთათელაძე განაგებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზურ და სასამართლო ქიმიის კათედრებს, ხოლო აკადემიკოს პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების შემდეგ ბიოქიმიის კათედრასაც.

პროფესორმა ი. ქუთათელაძემ თავის კოლეგებთან ერთად ფართო მეცნიერული მოღვაწეობა გაშალა და კვლევები იმ დონემდე აიყვანა, რომ შესაძლებელი გახდა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსება. 1932 წლის 5 მაისს გაიხსნა თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი. ი. ქუთათელაძის გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტს მისი დამაარსებლის და შეუცვლელი დირექტორის სახელი მიენიჭა.

იოველ ქუთათელაძემ გადაწყვიტა ინოვაციური საკითხები და შექმნა 20-მდე ახალი სამკურნალო ფორმა. ინსტიტუტის კოლექტივმა მოკლე დროში ადგილობრივი ნედლეულიდან 50-მდე სამკურნალო პრეპარატი შეიმუშავა, მათი წარმოებისათვის აუცილებელი იყო ქიმიურ-ფარმაცევტული წარმოების ორგანიზაცია. ბატონმა იოველმა დააყენა საქართველოში სამედიცინო მრეწველობის განვითარების აუცილებლობის საკითხი და გაიხსნა ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა.

1936 წელს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე მოისმინეს პროფესორ ქუთათელაძის მოხსენება „ფარმაკოქიმიური ინსტიტუტის მუშაობის შედეგებისა და ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის მდგომარეობის შესახებ“. ამის შემდეგ ჩამოყალიბდა ფარმაკოქიმიური მრეწველობის სპეციალური სამმართველო, რომლის მეცნიერ-კონსულტანტადაც პროფესორი იოველ ქუთათელაძე დაინიშნა.

სამკურნალო პრეპარატთა კეთილხარისხოვნება მუდამ იყო ბატონი იოველის საზრუნავი. ამ მიზნით საქართველოში მისი ინიციატივით საკონტროლო ანალიზური ლაბორატორიები შეიქმნა.

აკადემიკოსი ი. ქუთათელაძე აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იყო მრავალი სამეცნიერო და საწარმოო დაწესებულების მეცნიერ-კონსულტანტი, საკავშირო ფარმაკოპეის მე-8 გამოცემის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და აქტიური მონაწილე; 1946 წლიდან იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე.

1951 წელს ჩამოაყალიბა საქართველოს ფარმაცევტთა მეცნიერული საზოგადოება და უწევდა მას ხელმძღვანელობას.

პროფესორ იოველ ქუთათელაძეს 1941 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1944 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს – აკადემიკოსად. დაჯილდოებული იყო ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებით და საპატიო სიგელებით.

აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე გარდაიცვალა 1963 წლის 15 დეკემბერს. **როგორც უბადლო, უზადო მეცნიერსა და პიროვნებას, ფარმაცევტული მეცნიერების ეპოქის შემქმნელს, მეცნიერების ძურუმს მუდამ ეძნება ძართველი სამეცნიერო საზოგადოების აღიარება და პატივისცემა.**

ღრმა იდეურობა, უდიდესი მიზანსწრაფვა, ორგანიზატორული ტალანტი, საოცარი შრომისმოყვარეობა, დასახული მიზნების სწორად განხორციელება – აი, ის თვისებები, რომლებიც ასე ამშვენებდა ბატონ იოველს. მისი ნათელი ხსოვნა და სახელი მუდამ იცოცხლებს სამეცნიერო წრეებში, როგორც საქართველოს ინტელექტუალური სიმდიდრე და სიამაყე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გრიპის აცრა

ვისთვის (არ)არის უფასო და სად შეიძლება გაკეთება

გრიპი და სხვა რესპირატორული ინფექციები ძირითადად შემოდგომის მეორე ნახევრიდან აქტიურდება. მაღალი რისკჯგუფებისთვის საქართველომ „საწოფი პასტერის“ წარმოების 200 000 დოზა ფრანგული ვაქცინა შეიძინა. ვის შეუძლია ისარგებლოს ამ პრეპარატით, როდის ღირს აცრის გაკეთება და რა უნდა ძნან მათ, ვინც რისკჯგუფში არ ხვდება?

რადიო თავისუფლება ხსნის, რა შესაძლებლობებია ამ სეზონზე გრიპისგან თავის დასაცავად.

– ვინ შედის რისკჯგუფში?

– ორსულები, დიაბეტის, მკურნალობის ეტაპზე მყოფი C ჰეპატიტის მქონე ადამიანები; აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები, დიალიზზე მყოფები; ორგანოგადანერგილი ადამიანები; ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელი პერსონალი; 60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმულები. ასევე, სკოლების პედაგოგები; საბავშვო ბაღების თანამშრომლები, სამედიცინო პერსონალი, ვეტერანი სამხედროები; მეცხოველეობის სფეროში დასაქმებულები, მონადირეები; ვეტერინარები და ვეტერინარული ლაბორატორიის თანამშრომლები; სამხედროები და წვევამდელები; პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი; მსჯავრდადებულები და ბრალდებულები.

ყველა ამ კატეგორიაში შემავალი ადამიანი აცრას გაიკეთებს უფასოდ.

– რატომ არის აუცილებელი აცრა რისკჯგუფებისთვის?

– იმიტომ რომ მათთვის, ინფიცირების და შემდგომ დაავადების გართულების რისკები იზრდება.

– რისკჯგუფში ვარ, სად შემიძლია აცრის გაკეთება?

– საქართველოს მასშტაბით 500-ზე მეტ სამედიცინო დაწესებულებაში, თითქმის ყველა პოლიკლინიკაში.

– აქვს უკუჩვენება აცრას?

ფაქტობრივად, არა. მით უმეტეს, რისკჯგუფებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვაქცინაცია და იმუნიტეტის გაძლიერება, რომელიც ვაქცინაციის შემდეგ ერთ წელიწადს ძლებს. ამიტომ არის დაავადებისგან თავის დასაცავად ყოველწლიური ვაქცინაცია რეკომენდებული.

ერთადერთი, როდესაც ვაქცინაციაზე უარს გეტყვიან, ეს არის ნებისმიერი სისტემის მწვავედ მიმდინარე დაავადება, ცხელება. თუმცა ტემპერატურის დასტაბილურებიდან 48 საათის შემდეგ გრიპის აცრა დასაშვები ხდება. გაიშვიათებული ხველა და ცხვირიდან გამონადენი უკუჩვენებად არ ითვლება.

– არ ვარ რისკჯგუფში, ე.ი. ვერ ავიცრები?

– აიცრებით. თანაც აცრა ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც სასურველია. რაც უფრო მაღალია საზოგადოების იმუნიტეტი, მით მცირეა ვირუსის ფართოდ გავრცელების შანსი და ამით საკუთარ თავთან ერთად რისკჯგუფებსაც დავიცავთ.

გრიპის ვირუსის ლეტალობა (სიკვდილიანობა) მაღალი არ არის, თუმცა ვაქცინაციის შემდეგ ეს მაჩვენებელი 0,1-0,3%-ზე ჩამოდის.

– სად შეიძლება აიცრას რისკჯგუფში არმყოფი ადამიანი?

– კერძო კომპანიებს ვაქცინები ყოველ წელს შემოაქვთ. აცრაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

– არის უკვე კლინიკებში?

– ჯერჯერობით არა. ამ მომენტისთვის კომპანიები ვერ ასახელებენ კონკრეტულ თარიღს, როდის შემოვა კომერციული ვაქცინა. მხოლოდ „ევექსის“ კლინიკების ქსელი ამბობს, რომ, დიდი ალბათობით, ვაქცინები მიმდინარე კვირაში უკვე ხელმისაწვდომი იქნება მათ სამედიცინო დაწესებულებებში. თუმცა რეკომენდაცია წინასწარ ცხელ ხაზზე დარეკვა და კონკრეტულ მისამართებზე მარაგების დაზუსტებაა.

– როდის ჯობია ავიცრათ?

– ვინაიდან იმუნიტეტის გამომუშავებას, საშუალოდ, 2-3 კვირა სჭირდება, ინფექციონისტები ამბობენ, რომ სექტემბრის მეორე ნახევარი, ოქტომბრის პირველი კვირა აცრისთვის იდეალური პერიოდია. ამ პერიოდში აცრისას გრიპის სეზონს ორგანიზმი უკვე მომზადებული შეხვდება, რაც დაავადების მძიმე მიმდინარეობის რისკს 10-ჯერ ამცირებს.

ანი ბურდული,

„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.

მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო უნივერსიტეტების დელეგაციის წევრები ჯიღაურაში

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი ლევან უჯმაჯურიძე მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო უნივერსიტეტების დელეგაციის წევრებს შეხვდა. ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ავრცელებს.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: **ესპანეთის, ჩილეს, ურუგვაის, მონტევიდეოს და სამხრეთ აფრიკის წამყვანი უნივერსიტეტების მევენახეობა-მეღვინეობის პროფესორები და ექსპერტები.**

შეხვედრაზე მხარეებმა მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობის საკითხები განიხილეს. აღინიშნა, რომ მსგავსი ტიპის თანამშრომლობა ხელს უწყობს საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაციას.

„ცენტრი დაარსების დღიდან თანამშრომლობს მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო უნივერსიტეტებთან. შეხვედრის ფარგლებში სამომავლო თანამშრომლობა დაიგეგმა სამხრეთ ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან, რომელიც მევენახეობა-მეღვინეობაში ერთობლივი კვლევების განხორციელებას ითვალისწინებს“, – აღნიშნა სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრის დირექტორმა, **ლევან უჯმაჯურიძემ.**

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებმა, ჯიღაურას ბაზაზე, ქართული ვაზის კოლექცია დაათვალიერეს და იშვიათი ჯიშის ქართული ყურძნისგან დაყენებულ ღვინოებს გაეცნენ. დელეგაციის ვიზიტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო პროექტის „VitaGlobal – სოფლის მეურნეობისა და მევენახეობა-მეღვინეობის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია“ ორგანიზებით განხორციელდა, რომლის შემადგენლობაშიც არიან ჩილეს, ურუგვაის, მონტევიდეოს, სამხრეთ აფრიკის, ესპანეთის, არგენტინის იტალიის პორტუგალიისა და საფრანგეთის წამყვანი უნივერსიტეტების მევენახეობა-მეღვინეობის პროფესორები და ექსპერტები.

ბინები კიდევ უფრო გაძვირდება!

ომი ყველა შემთხვევაში მდგომარეობას აუარესებს

მშენებლობის ღირებულების ინდექსი წინა კვარტალთან შედარებით 7.2 პროცენტით გაიზარდა. საქსტატის ინფორმაციით, აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 16.4-პროცენტიანი ზრდით, რამაც 4.36 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

გარდა ამისა, უძრავი ქონების გაძვირებას განაპირობებს მაღალი მოთხოვნა, რაც რუსეთ-უკრაინის ომს უკავშირდება. საქართველოში შემოსული მიგრანტების ნაწილი ბინებს უკვე შესაძენად ეძებს, შესაბამისად, ეს ბაზარზე გავლენას ახდენს. დეველოპერები და დარგის სპეციალისტები სამომავლოდაც ფასების ზრდას პროგნოზირებენ.

როგორც მენაშენეთა ასოციაციის ყოფილი ხელმძღვანელი და სცეროს სპეციალისტი **ირაკლი როსტომაშვილი** აღნიშნავს, ბინებზე ფასი ორი მიზეზით არის გაზრდილი, ესენია სამშენებლო მასალის გაძვირება და უცხოელების ნაკადები, ვისაც თბილისში ბინის შეძენა სურთ. „ბინებზე ფასი ორი მიზნით არის გაზრდილი, ერთი მიზეზი არის ის, რომ ნებისმიერ სამშენებლო მასალაზე ფასი გაიზარდა, ასევე გაზრდილია საწვავის ფასი და ყველაფერი იმის ფასი, რითაც მშენებლობა შედგება.

მეორე მიზეზი, რამაც ბინებზე ფასების ზრდა გამოიწვია, არის იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლა, ვისაც ბინის ყიდვა საქართველოში უნდა. საბაზრო ეკონომიკიდან გამომდინარეობს ის, რომ მოთხოვნის ზრდას, ფასის ზრდაც მოჰყვება.

მომავალში რა და როგორ იქნება, ძალიან ძნელი სათქმელია, მაგრამ ჩემი დამოკიდებულება არის, რომ უკრაინის გამარჯვების შემდეგ, საქართველოში ბინებზე ფასები მკვეთრად გაიზრდება, რადგან საქართველო ძალიან მიმზიდველი ქვეყანა გახდება.

ბინებზე ფასის ზრდა მხოლოდ ახალაშენებულ ბინებს არ ეხება. მაგალითად, თუ ქვეყანაში ბინის ფასზე გვაქვს 10%-იანი ზრდა და ვთქვათ მოქალაქეს აქვს 100 000-ლარიანი ბინა, მისი ქონების ფასი 110 000 გახდება. საუბარია უკვე ექსპლოატაციაში შესულ უძრავ ქონებაზე“, – აღნიშნა როსტომაშვილმა. იგივე მოსაზრებისაა სამშენებლო კომპანია „არსის“ გენერალური დირექტორი ბესო ორთოიძეც.

იგი ადასტურებს, რომ ამ დროისთვის უძრავი ქონების ღირებულება 20-25%-ით უკვე გაძვირებულია.

„ჯერ კიდევ პანდემიის პერიოდში ვამბობდით, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ ბინებზე ფასები მოიმატებდა. კრიზისულ პერიოდს ახლავს შეჩერებული ეკონომიკა და ფასები. ამას ემატება ინფლაცია და ახლა - ომი უკრაინაში, რამაც გამოიწვია სამშენებლო მასალების ფასების ზრდა, რაც საბოლოოდ ბინების ფასზეც აისახება.

ამ დროისთვის ბინების წლიური ფასების დაახლოებით 20-25%-იანი ზრდა გვაქვს, ლოკაციების მიხედვით. ჩემი პროგნოზით, წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელი კიდევ 5%-ით გაიზრდება, ანუ ჯამურად 30%-იან ზრდას მოველით“, – განაცხადა ორთოიძემ.

ფასების ზრდა უფრო მეტად გარეუბნებში შეინიშნება, სადაც ბინების ღირებულება უფრო დაბალი იყო, ხოლო ყველაზე ნაკლებად ეს პრობლემა პრემიუმ სეგმენტს შეეხო, რომლის ფასიც ისედაც მაღალი იყო.

„თუ აქამდე გარეუბნებში კვადრატულის ღირებულება 500-600 დოლარი იყო, ახლა გახდა 700-800 დოლარი. მიუხედავად ფასის ზრდისა, მოთხოვნის ნაწილი არის მზარდი, ესეც ფასის ზრდის ერთ-ერთი პირობაა“, – განაცხადა ორთოიძემ.

ბექა დანელია

წლის ბოლოს გვექნება ინვესტიციების ყველაზე დიდი მაჩვენებელი!

„ინფლაცია საქართველოში შემცირების ტენდენციით ხასიათდება“, – ასე აფასებს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას ფინანსთა მინისტრი.

ლაშა ხუციშვილი მომავალ პერიოდში ფასებისა და ინფლაციის შემცირებას პროგნოზირებს. ფინანსთა მინისტრის შეფასებით, ინფლაციის მაჩვენებელი განსაკუთრებით უნდა დაუახლოვდეს 2023 წლის მეორე კვარტლის მიზნობრივ მაჩვენებელს, რაც სამი პროცენტია.

„თქვენ იცით, რომ ინფლაცია, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე საკმაოდ მაღალი რჩება, ბოლო ორი თვის განმავლობაში შემცირების ტრენდით ხასიათდება, შემცირების მიმართულებით იცვლება. მათ შორის ცვლილება არის გარკვეულ პროდუქტებთან მიმართებაში. ბუნებრივია, ეს დამოკიდებულია პროდუქტებზე, რომლებიც საერთაშორისო ბირჟებსა და საერთაშორისო ბაზრებზე ივაჭრება. შესაბამისად, მისი ფასის კვოტირება სწორედ იქ დგება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა ხდება შესყიდვის დროს ქვეყნების მიხედვით. ჩვენ სახეზე გვაქვს, რომ სურსათის საფასო ინდექსი ბოლო სამი თვის განმავლობაში მუდმივად შემცირებით ხასიათდება“.

რაც შეეხება საწვავს, როგორც ლაშა ხუციშვილმა განაცხადა, ბოლო დღეებისა და კვირების განმავლობაში, საერთაშორისო ბაზრებზე საწვავთან მიმართებაში ფასის შემცირება დასტურდება, რაც გარკვეული დროის შემდეგ საქართველოში არსებულ ფასებზე აისახება.

„ამ მიმართულებით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის მოცემულობა, რაც ფასების შემცირების მიმართულებით გვაქვს, უნდა გაგრძელდეს იმ სტატისტიკის მიხედვით, რა სტატისტიკაც ბოლო პერიოდში სახეზე გვაქვს. თუმცა ასევე, ყველა კარგად ვხედავთ, რა რისკები არსებობს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და ძალიან რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება, რა შეიძლება, შეიცვალოს და რა შეიძლება მოხდეს უკრაინაში საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე. ყოველ შემთხვევაში ის მოლოდინები, რაც ბოლო სამმა თვემ აჩვენა, გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ფასებისა და ინფლაციის შემცირება უნდა გაგრძელდეს მომდევნო თვეებშიც“.

ფინანსთა მინისტრის შეფასებებს იზიარებს ეკონომისტი **გიორგი ცუცქირიძე.** მისი თქმით, ბოლო ორი თვეა, პოზიტიური დინამიკა გვაქვს, არა მარტო პურის ფასი შემცირდა, არამედ წისქვილკომბინატებიც ამუშავდა, რაც ახლო მომავალში ფასების რეგულირებას ნიშნავს.

გიორგი ცუცქირიძე: არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ჩვენთან ინფლაციის დიდი ნაწილი გარედან იმპორტირებულია. ეს, პირველ ყოვლისა, სასურსათო ინფლაციას ეხება, ასევე, საწვავზე ფასების ზრდასაც. ბუნებრივია, გაძვირებული ტრანსპორტი პროდუქციის ფასებზე ნეგატიურად აისახება. ინფლაციის ზრდა, ძირითადად, მთელს მსოფლიოში იყო. ინფლაცია სარეკორდოც იყო, იგივე აშშ-ში, ევროკავშირის ქვეყნებში, ბოლო 40 წლის მანძილზე ასეთი მაღალი ინფლაცია არასდროს ყოფილა. ეს ძირითადად გამოიწვია, ერთი მხრივ, მიწოდების ჯაჭვების წყვეტამ, რაც კოვიდპანდემიურმა შოკმა განაპირობა. ასევე, ამას მეორე ნეგატიური ფაქტორიც დაემატა – ომი უკრაინაში, რამაც ფასწარმოქმნაზე საკმაოდ ნეგატიური როლი ითამაშა. ვნახეთ, რომ ხორბლის ფასმა აიწია, რაც ასევე განპირობებული იყო იმით, რომ უკრაინიდან პორტების ჩაკეტვის გამო ხორბლის ექსპორტი ვერ ხერხდებოდა. შემდეგ, როცა გაიხსნა გზა, მოგეხსენებათ, ამ პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობა იყო ჩართული, პირველ ყოვლისა – თურქეთი. ევროპასა და მსოფლიოში უკრაინული ხორბლის ექსპორტი მოხერხდა. ამან ხორბალზე ფასების შემცირებას შეუწყო ხელი. ზოგადად, ხორბლის ფასი არა მხოლოდ უკრაინის მოსავალზეა დამოკიდებული. მართალია, უკრაინა ბაზრის ერთ-ერთი მსხვილი მიმწოდებელია, მაგრამ ფასი ზოგადად მოსავალზეა დამოკიდებული. წელს ხორბლის მოსავლის პოზიტიური დინამიკაა. ამან ტონა ხორბალზე ფასების მნიშვნელოვნად შემცირება გამოიწვია. ჩვენს მაგალითზე რომ ავიღოთ: ხორბალზე, რომელიც საქართველოში შემოდის, ფასი 350 $-დან 320 $-მდეა შემცირებული. ეს, ერთი მხრივ, ფქვილის ფასზე და, მეორე მხრივ, პურის ფასზე ძალიან პოზიტიურად აისახა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არა მარტო პურის ფასი შემცირდა 10 თეთრით, ბევრმა მწარმოებელმა პურზე ფასის შემცირება დაიწყო, აქ, პრაქტიკულად, ყველა კატეგორიის პურზეა საუბარი, არამედ, წისქვილკომბინატებმაც მუშაობა დაიწყეს, რომლებიც, სამწუხაროდ, ბოლო 2 წლის მანძილზე გაჩერებულები იყვნენ. მაღალი ფასის გამო აქ ხორბლის შემოტანა და დაფქვა არარენტაბელური იყო. ის ფქვილის შემოტანით იყო ჩანაცვლებული. ეს, ერთი მხრივ, ჩვენს წარმოებას აჩერებდა, მეორე მხრივ, იმპორტს ზრდიდა. დღეს გაიაფებით ეს პრობლემა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. წისქვილკომბინატები ამუშავდა, ბოლო 2 თვეა, ძალიან პოზიტიური დინამიკა გვაქვს. ინფლაციის ტენდენციაზეც აქედან უნდა ვისაუბროთ. მოგეხსენებათ, პური ერთ-ერთია, რომელსაც ჩვენი მოსახლეობის რაციონში დიდი წილი აქვს. ამის გარდა, ინფლაციაზე ძალიან მგრძნობიარედ საწვავის ფასები ზემოქმედებს. აქაც ვხედავთ, რომ საერთაშორისო ბაზრებზე კლების ტენდენციაა, მართალია – ისეთი არა, როგორც ცოტა ხნის წინ იყო, როცა ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ კლების ტენდენცია დაჭერილია, რაც აისახება როგორც საწვავის ფასებზე, ისე – გადაზიდვების ფასებზე, რაც კატასტროფულად გაზრდილი იყო და ზოგადად, პროდუქციის ფასზე მოქმედებდა.

– თქვენი შეფასებებიდან გამომდინარე შესაძლოა ინფლაციის წლიური მაჩვენებელი ქვემოთ წამოვიდეს?

– ზოგადად, ტენდენცია რომ შევაფასოთ: წლის დასაწყისში, პირველ კვარტალში ძალიან მაღალი ინფლაცია გვქონდა, ზაფხულში ინფლაციის მაჩვენებელი შემცირდა, აგვისტოში დაწეული იყო. დარწმუნებული ვარ, ინფლაციის სექტემბრის მაჩვენებელი, კიდევ უფრო დაწეული იქნება. წლის დასაწყისში თუ 13,7%-იანი ინფლაცია გვქონდა, დიდი ალბათობით, ინფლაციის მაჩვენებელი 10%-მდეც დაიწევს. ეს ზოგადად ამ წლის შეფასებაა, ასეთია ჩემი პროგნოზი. მსოფლიო ბანკის და მათ შორის ეროვნული ბანკის პროგნოზითაც, მომავალ წელს ინფლაცია მნიშვნელოვნად შემცირებული იქნება. მართალია, ის მიზნობრივ ორიენტირზე არ იქნება, რომელიც ეროვნულ ბანკს გასულ წლებში ჰქონდა, მოგეხსენებათ ეს 3-4%-ია, მაგრამ, სავსებით რეალისტურია, რომ მომავალ წელს ინფლაცია საშუალოდ 6-7 %-ზე გვქონდეს. ჩვენ ამ წელს ასევე საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდა გვექნება. როცა მაღალ ფასებსა და ინფლაციაზე არის ხოლმე ლაპარაკი, ნეგატიური ფაქტორის ერთ-ერთი გადამწონი ეკონომიკის მაღალი ზრდა არის ხოლმე. მაღალი ზრდა გვექნება, სავარაუდოდ, ყველა პროგნოზით – 8,5%. ჩემი შეფასებით, რომელიც აგვისტოში გავაკეთე, 8,5%-ზე მაღალი ზრდა გვექნება, საუბარია წლიურ საშუალო მაჩვენებელზე, ეს არის დაახლოებით, 9-9,5%.

– რაც შეეხება ეროვნული ვალუტის კურსს, შენარჩუნდება არსებული ტენდენცია თუ ტურისტული სეზონის დამთავრების შემდეგ გარკვეული ცვლილებები გვექნება?

– რაც შეეხება ეროვნული ვალუტის კურსს, იყო პროგნოზები, რომ ტურისტული სეზონის დროს იქნებოდა კურსის რეგულირება. მაშინდელი ჩემი პროგნოზი ფაქტობრივად გამართლდა. მინდა გითხრათ, რომ გარდა ტურიზმისა, ვალუტის კურსზე პოზიტიურად მოქმედებს ინვესტიციები, რომელიც მიმდინარე წელს საგრძნობლად არის გაზრდილი. ჩვენ, წლის ბოლოს უნდა ველოდოთ ინვესტიციების ყველაზე დიდი მაჩვენებელს, ეს იქნება ბოლო ათწლეულის ყველაზე დიდი მაჩვენებელი. ასევე, ძალიან დიდ გავლენას ახდენს ექსპორტი, სწორედ აქედან გამომდინარე იყო პროგნოზი, რომ ჩვენ, სავალუტო დეფიციტი არ უნდა შეგვქმნოდა, რაც ნეგატიურად აისახებოდა ლარის გაცვლით კურსზე. დაგვრჩა ბოლო კვარტალი და ჩემი შეფასებით, ვალუტის კურსი იქნება 2.85-2.90-ის ფარგლებში. ასევე, ინფლაცია დაწეული იქნება 10%-მდე, მაშინ როდესაც წლის დასაწყისში გვქონდა 13,7%. ინფლაციის კლებას ელოდებიან ასევე ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. რადგანაც ჩვენ ძირითადად იმპორტზე ვართ დამოკიდებული, ეს ყველაფერი პოზიტიურად აისახება საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზეც.

შორენა გონგლაძე

კრემლმა კალიუმის იოდიდის განსაკუთრებით დიდი რაოდენობის შესყიდვაზე ბრძანება გასცა!

ტრილიონი ოქრო იმას, ვინც პუტინს ბირთვულ ომს გადააფიქრებინებს!

კრემლი უკვე ბოლო რამდენიმე დღეა ბირთვული იერიშით იმუქრება. პუტინის შემდეგ ამაზე ღიად დიმიტრი მედვედევი ალაპარაკდა. ის „ტელეგრამ“ არხზე აცხადებს, რომ მოსკოვს უფლება აძვს გამოიყენოს იარაღი ნებართვის გარეშე. უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე დასძენს, რომ ეს ბლეფი არ არის და თუ საჭირო გახდება, კრემლი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს.

პუტინმა 21 სექტემბერს თქვა, რომ მის ქვეყანას აქვს ბირთვული იარაღი და საფრთხის შემთხვევაში, „ხალხის დასაცავად“, ყველა საშუალებას გამოიყენებს.

ამის პარალელურად ცნობილი ხდება კრემლის გადაწყვეტილებაც კალიუმის იოდიდის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შესყიდვაზე, რაც უახლოეს 4 დღეში უნდა განხორციელდეს. უკვე გამოყოფილია 5 მილიონი რუბლი. პრეპარატი ხელს უშლის რადიოაქტიური იოდის შეწოვას ორგანიზმში და ადამიანს იცავს რადიაციული დაზიანებებისგან. რისთვის ემზადება რუსეთი უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე სულ უფრო იზრდება და ამას რუსეთში ბლეფად სულაც არ აღიქვამენ.

„ბაიდენი და ტრასი, ასევე ბლინკენები და სალივანები რუსეთს სთხოვენ, „ბირთვულ ღილაკს“ ხელები მოაშოროს. ისინი ერთად მუდმივად გვემუქრებიან „საშინელი“ შედეგებით – თუ რუსეთი გამოიყენებს ბირთვულ იარაღს და ლონდონელი დეიდა, ახალგაზრდა ჭკუით, სრულიად მზად არის დაუყოვნებლივ დაიწყოს საპასუხო ბირთვული დარტყმები ჩვენს ქვეყანასთან. კიდევ ერთხელ უნდა შეგახსენოთ, ყრუ-მუნჯებისთვის, ვისაც მხოლოდ საკუთარი თავის ესმის – რუსეთს უფლება აქვს გამოიყენოს ბირთვული იარაღი საჭიროების შემთხვევაში – თუკი ჩვენ ან ჩვენს მოკავშირეებს თავს დაესხმებიან ამ ტიპის იარაღის გამოყენებით, ან თუ ჩვეულებრივი იარაღის გამოყენებით აგრესია საფრთხეს უქმნის ჩვენი სახელმწიფოს არსებობას“, – აცხადებს მედვედევი.

ისმის კითხვა – რა წესები არსებობს ბირთვული იარაღის ასამოძედებლად და ამისთვის პუტინის გარდა საჭიროა თუ არა სხვა მაღალჩინოსნების თანხმობა?

როგორც სამხედრო ანალიტიკოსები ამბობენ, ყველაფერი რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინაშია გაწერილი, თუ როგორ უნდა მოიყვანო მოქმედებაში ბირთვული იარაღი. რუსეთი დღემდე არ ითვალისწინებს პრევენციულ ბირთვულ დარტყმას. ყველა დოკუმენტში, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან არსებობს, დარტყმა არის საპასუხო ან საპასუხო–შემხვედრი. თუმცა მხოლოდ პუტინს არა აქვს უფლება, რომ ბირთვული იარაღის ღილაკს ხელი დააჭიროს. ამისთვის მას თავდაცვის მინისტრის და გენშტაბის ხელმძღვანელის თანხმობა სჭირდება. იარაღი მზადყოფნაში შეიძლება მოიყვანო მხოლოდ მას შემდეგ, თუ ეს სამი პირი შეთანხმდება და თავთავის სამ ღილაკს ხელს ერთდროულად დააჭერს. ანუ, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმეს ამ სამიდან პარანოია ან სხვა სახის ფსიქიკური დაავადება აქვს, ან კიდევ სხვა რამე... არაფერი გამოვა. სამივე უნდა შეთანხმდეს და ისე მოხდეს ბირთვული იარაღის გასროლა.

უკრაინის პრეზიდენტის, **ვოლოდიმირ ზელენსკის** თქმით, რუსეთის პრეზიდენტის მუქარა ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით, შესაძლოა რეალური იყოს.

„შეიძლება გუშინ ეს ბლეფი იყო, მაგრამ ახლა ეს შეიძლება რეალობა იყოს. არ ვფიქრობ, რომ ეს ბლეფია“, – თქვა ზელენსკიმ CBS-თან ინტერვიუში.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის, **ლიზ ტრასის** თქმით, მოკავშირეები მტკიცედ უნდა დადგნენ უკრაინის გვერდით და არ უნდა მოუსმინონ რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მუქარას. ამის შესახებ ტრასმა CNN-თან ინტერვიუში ისაუბრა.

„ჩვენ არ უნდა მოვუსმინოთ მის (პუტინის) ყალბ მუქარას. ამის ნაცვლად, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ სანქციების დაწესება რუსეთზე და უკრაინელების მხარდაჭერა“, – თქვა მან.

„თუ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, შეერთებული შტატებისგან გადამწყვეტ პასუხს მიიღებს“, – ამის შესახებ თეთრი სახლის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში, **ჯეიკ სალივანმა** „ეიბისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ვაშინგტონი აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ მოსკოვმა კატასტროფული ნაბიჯი არ გადადგას, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი წითელ ხაზს გადაკვეთს, ამას შეერთებული შტატებისგან გადამწყვეტი პასუხი მოჰყვება.

ვაშინგტონი აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ მოსკოვმა კატასტროფული ნაბიჯი არ გადადგას, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი წითელ ხაზს გადაკვეთს, ამას შეერთებული შტატებისგან გადამწყვეტი პასუხი მოჰყვება.

მისი თქმით, **ვაშინგტონი აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ მოსკოვმა კატასტროფული ნაბიჯი არ გადადგას, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი წითელ ხაზს გადაკვეთს, ამას შეერთებული შტატებისგან გადამწყვეტი პასუხი მოჰყვება.**

„ჩვენ გვსურს, გავაგებინოთ მათ, რომ კატასტროფული შედეგები იქნება, მაგრამ არ გვსურს, რიტორიკულ თამაშებში ჩავერთოთ. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც აუცილებელია, რომ რუსეთი ამ ნაბიჯის გადადგმისგან შევაკავოთ და თუ ამას მაინც გააკეთებენ, ჩვენ გადამწყვეტად ვუპასუხებთ“, – აცხადებს სალივანი.

სამხედრო ანალიტიკოსი **ვასტანგ მაისაია** აცხადებს, რომ ბირთვული იარაღის ღილაკზე დაჭერა ერთპიროვნულად მხოლოდ პუტინს არ შეუძლია, ამისთვის მას გენშტაბის უფროსის და თავდაცვის მინისტრის თანხმობა სჭირდება. ეს გადაწყვეტილება მიიღება მას შემდეგ, რაც მათ მიუვათ ინფორმაცია, რომ რუსეთზე თავდასხმა განხორციელდა. ან როცა რუსეთი იღებს გადაწყვეტილებას, რომ ბირთვული იარაღი პრევენციული მიზნებისთვის გამოიყენოს.

„ძალიან რთულია იმის გაანსაზღვრა, პუტინი ასეთ მძიმე გადაწყვეტილებას მიიღებს თუ არა. მსგავსი გადაწყვეტილების საფრთხე არასდროს დამდგარა და ძალიან რთულია იმის პროგნოზირება, რამდენად რეალურია მისი მუქარა. საერთოდ, ბირთვული იარაღის გამოყენების რამდენიმე კატეგორია არსებობს. სუბტაქტიკური ტიპის იარაღი, სადაც ბირთვული ქობინების და ბომბების მოცულობა 0,5–ტონიდან 20 ტონის ფარგლებშია. მეორე არის ტაქტიკური, რომელიც 20 ტონიდან 100 ტონამდე ადის. შემდეგ არის ოპერატიულ სტრატეგიული, რომელიც 100–დან 300 ტონამდე იზრდება. გააჩნია, რომელი ტიპის და კატეგორიის იარაღის გამოყენებაზე იქნება საუბარი. თუ საუბარი ტაქტიკურ ბირთვულ იარაღზეა, აქ მაშინ სამ ჰიროსიმას მსგავს აფეთქებას და კატასტროფას მივიღებთ. რუსეთს შეუძლია ბირთვული იარაღი სამ ძირითად შემთხვევაში გამოიყენოს, პირველი, როდესაც მის მიმართ შეტევა განხორციელდება, მეორე, როდესაც კონვენციური ომი მიდის და ის ამ ომს აგებს. უკვე საფრთხე მის სახელმწიფოებრივ პრინციპებს ექმნება. მესამე ვარიანტია, როცა ბირთვული იარაღის გამოყენება პრევენციული ღონისძიებების გამო ხდება“, – ამბობს მაისაია.

იხ. 12 გვ.

ვინ იქნება სახალხო დამცველი?

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის განცხადებით, სახალხო დამცველობის კანდიდატობის სურვილი 19-მა პირმა გამოთქვა.

1. **ანა აგაშიძე** – ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი;
2. **მარიკა არევაძე** – საადვოკატო გიუროს „არევაძე, გონაშვილი და პარტნიორები“ ადვოკატი;
3. **გიორგი ბურჯანაძე** – საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე;
4. **ლელა გაფრინდაშვილი** – ა(ა)იპ „ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის“ ხელმძღვანელი;
5. **სოფიო დემეტრაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **თინათინ ერქვანია** – GIPA – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
7. **ევგენია თავაძე** – დროებით უმუშევარი
8. **ალექსანდრე კობაიძე** – ა(ა)იპ „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაცია“ თავმჯდომარე;
9. **ლევან კოკორაშვილი** – ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე;
10. **ნუგზარ კოხრეიძე** – ა(ა)იპ „სამეცნიერო–ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“ თავმჯდომარე;
11. **გიორგი მარიამიძე** – ა(ა)იპ „მოქალაქეთა დაცვის ინსტიტუტი“ დამფუძნებელი, დირექტორი;
12. **სერგო მახარაძე** – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების იურისტი;
13. **მაკა მინდიაშვილი** – ა(ა)იპ „ხალხის ხმა“ დამფუძნებელი;
14. **ჯემალ ნათელაშვილი** – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი;
15. **ნიკოლოზ ნიკოლაძე** – საქართველოს დიპლომატიური სამსახურის რეზერვი;
16. **ქეთევან ჩაჩავა** – ა(ა)იპ „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ აღმასრულებელი დირექტორი;
17. **გიორგი ცომეხია** – საადვოკატო გიუროს „გიორგი ცომეხია და პარტნიორები“ მმართველი პარტნიორი, დირექტორი;
18. **იაგო ხვიჩია** – საქართველოს პარლამენტის წევრი;
19. **ნაზი ჯანეზაშვილი** – ა(ა)იპ „საქართველოს სასამართლოს გუშაგი“ დირექტორი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობა „ვისოლ ჯგუფმა“ იყიდა

– ამის შესახებ ინფორმაცია „ბიზნესპარტნიორს“ კომპანიის დამფუძნებელმა, ბიზნესმენმა, **სოსო ფხაკაძემ** დაუდასტურა. როგორც სოსო ფხაკაძემ აღნიშნა, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაიწყოს დეველოპერული საქმიანობა, კონკრეტულად კი საცხოვრებელი ბინების მშენებლობა და სწორედ ამ მიზეზით შეისყიდა მაუწყებლის შენობა.

„ჩვენი ჯგუფი დიდი ხანია, ახორციელებს კომერციული უძრავი ქონების განვითარებას თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. კერძოდ, ჩვენ ვაშენებთ და ოპერირებას ვუწევთ საშუალო ზომის სავაჭრო ცენტრებს, სადაც მთავარი არენდატორია კომპანია „კარფური“ და ასევე არენდატორები არიან ათობით სხვა რითეილერები. შესაბამისად, ვფიქრობთ, ჯგუფში დაგროვდა კარგი გამოცდილება უძრავი ქონების განვითარების კუთხით“.

თბილისში, კოსტავას 68-ში მდებარე საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი 65 100 000 ლარად გაიყიდა. აუქციონზე გამოტანილი იყო 33 209 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და 23 649 კვადრატული მეტრი შენობა-ნაგებობები. აუქციონში მონაწილეობის შესაძლებლობა დაინტერესებულ მხარეებს მიმდინარე წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, 12:00 საათამდე ჰქონდათ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი შენობა კი თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ. №31-ში განთავსდება. მშენებლობა დაიწყო 2020 წლის დეკემბერში და სრულდება 2023 წლის დეკემბერში.

სენატორი კარდინი: ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, საქართველოს თავდაცვისთვის ფრონტის ხაზია



საქართველოს თავდაცვის ფრონტის ხაზი ახლა უკრაინაში გადის, ამბობს სენატორი ბენ კარდინი, ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარე. სენატორი კარდინი საქართველოში არსებულ ანტიდასავლურ კამპანიაზე ამბობს, რომ ამერიკის ელჩს ვაშინგტონიდან სრული მხარდაჭერა აქვს და... მიუხედავად იმისა, თუ როგორი და რამდენად მწვავეა განცხადებები, ამერიკა არ აპირებს დადუმდეს იმ ღირებულებებზე, რაც დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანია.

სენატორი ასევე დასძენს, რომ ქვეყანაში გარკვეული პროგრესიც შეინიშნება და საქართველო ევროინტეგრაციის გზას ადგას, თუმცა საბოლოო შედეგისთვის მეტი რეფორმაა საჭირო.

— საკმაოდ ხშირად გვესმის, რომ უკრაინის ბრძოლამ რუსეთის წინააღმდეგ უკვე შეცვალა ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა. თუმცა ომის დასასრული ჯერ არ ჩანს. რა მნიშვნელობა ექნება უკრაინის გამარჯვებას რეგიონისთვის და ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, რომელიც მსგავსი აგრესიის მსხვერპლი იყო 2008 წელს?

— ბატონ პუტინს ნამდვილად ვუფასებთ იმას, რომ ნატოს პარტნიორებს შორის ერთიანობა მოიტანა. მათ შორის, ეს მოხდა ბევრი ქვეყნის შემთხვევაში ევროპაშიც.

საქართველო ძალიან დაზარალდა რუსეთის შეჭრით და რუსული ჯარები დღემდე იქ დგანან. მათ (ქართველებმა) იციან რას ნიშნავს, როდესაც ზესახელმწიფოს სამხედრო ძალა მოდის შენს ქვეყანაში და ძალით იტაცებს ქვეყნის ნაწილებს. ასე რომ, ისინი იაზრებენ იმას, რომ ის, რაც უკრაინაში მოხდა ამ ბოლო შეჭრამდე, მოხდა მათ ქვეყანასა და მოლდოვაშიც.

ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება არის ფრონტის ხაზი საქართველოს თავდაცვისთვის, რადგან თუ რუსეთი შეძლებს, რომ წინ წავიდეს ამ სამხედრო კამპანიაში, მაშინ საქართველო და მოლდოვა ნამდვილად იქნებიან რუსეთის შემდეგი სამხედრო აგრესიის მსხვერპლი.

— თქვენ 2008 წლის ომი ახსენეთ. ურზულა ფონ დერ ლაიენმა, ცოტა ხნის წინ თქვა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მათ შორის საქართველო, აფრთხილებდნენ დასავლელ პარტნიორებს, რომ რუსეთი არ შეჩერდებოდა. მან 2008 წელს საქართველოთი დაიწყო და შემდეგ უკრაინით განაგრძო 2014-ში. თუმცა დასავლეთისგან ერთიანი პასუხი ვერ ვიხილეთ 2022 წლის თებერვლამდე. ფიქრობთ, რომ ამერიკას, ნატოს, ევროკავშირს არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ იმაზე, რისი გაკეთება შეეძლო ვლადიმირ პუტინს და როგორ შეიცვალა ეს წარმოდგენები მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოსა და უკრაინაში ომი დაიწყო?

— ვფიქრობ, ჩვენ მივხვდით ბატონი პუტინის მიზანს. ის ძალიან ნათლად გამოხატავდა, რომ უფრო დიდი რუსეთი სურს, რომ ის წუხს საბჭოთა კავშირის დაშლის გამო. ჩვენთვის სიურპრიზი არ ყოფილა, რომ ის ჩაერია საქართველოს, მოლდოვის, უკრაინის საქმეებში. ვფიქრობ, რომ ჩვენ მომზადებულები ვიყავით, მაგრამ ასევე ვაღიარებთ, რომ რუსეთის გადაწყვეტილებამ შეჭრილიყო ქვეყანაში და ეცადა დაეპყრო მთელი უკრაინა, ყველანაირ მოლოდინს გადაჭარბა.

ის (უკრაინა) არაა ნატოს წევრი ქვეყანა, ამიტომ ჩვენ არ ჩავრთავთ ამერიკულ, ან ნატოს ჯარებს ამ კონფლიქტში, მაგრამ ჩვენ უკრაინის გვერდით დავდექით და ეს ძალიან ნათლად გამოვხატეთ. პირველ რიგში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ჩვენ მათ დაზვერვის ინფორმაცია გავუზიარეთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო უკრაინელებისთვის, რათა გაეგოთ, რას გეგმავდა რუსეთი. ჩვენ ასევე ორგანიზება გავუწიეთ საერთაშორისო საზოგადოებას, რათა მიგვეწოდებინა სამხედრო დახმარება და უკრაინას შესძლებოდა თავდაცვა. მათ მართლაც გამოიყენეს ეს სამხედრო დახმარება თავდაცვისთვის.

ვიცოდით, რომ არაფერი იყო შეუძლებელი რუსეთისა და ბატონი პუტინისთვის. ვიცით, რომ ასიმეტრიული არსენალი აქვს დეზინფორმაციის, ოპოზიციის დაფინანსების და კორუფციის, ისევე როგორც ძალის გამოყენების. ეს ყველაფერი მის არსენალშია იმისთვის, რომ ეცადოს გაანადგუროს დემოკრატიული სახელმწიფოები.

ვფიქრობ, პუტინი გაოგნებული იყო, არა მარტო ერთიანი მხარდაჭერით, რაც მისი ქმედების შედეგად მოხდა, არამედ უკრაინაში ძალაუფლების შენარჩუნებითაც. თქვენ იცით, რომ უკვე თვეებია, რაც ეს სამხედრო კამპანია მიმდინარეობს, ჯერ დასარულს ვერ ვხედავთ ამ კონკრეტულ მომენტში. მაგრამ დასასრული არ ექნება არც ჩვენს დახმარებას უკრაინისადმი.

— თქვენ საქართველო და უკრაინა ერთად რამდენჯერმე ახსენეთ. უკრაინამ და მოლდოვამ, საქართველოსგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღეს. ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, ამერიკის ჰელსინკის კომისიამ, თქვენი თავმჯდომარეობით, გასცა რეკომენდაცია, რომ საქართველოც უნდა ყოფილიყო იმ ქვეყნების სიაში, ვინც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიიღებდა. ეს მათ „ევროპული ოცნებისთვის ბრძოლის შანსს მისცემს“, — ნათქვამი იყო თქვენს რეკომენდაციაში. როგორ ფიქრობთ, წაერთვა საქართველოს ეს შანსი, თუ კიდევ შეუძლია, რომ კანდიდატის სტატუსი მოიპოვოს?

— რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატები ევროკავშირის გადაწყვეტილებაში არ ერევა. ჩვენ მხარს ვუჭერთ ისეთი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციას, როგორიც საქართველოა. ვაღიარებთ, რომ ეს მათი და ევროპის საუკეთესო ინტერესებშია.

ვიცით, რომ საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეა სამხედრო უსაფრთხოების მიმართულებით. ისინი თავიანთი მონაწილეობით გვეხმარებოდნენ კამპანიებში, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთში. ვაღიარებთ მათ დახმარებას ჩვენს დასავლურ უსაფრთხოებაში.

საქართველოს ვხედავთ ევროპის ინტეგრაციის გზაზე და ვიმედოვნებ, რომ ერთ დღეს ნატოს წევრადაც. თუმცა, საჭიროა, რომ ქვეყანაში რეფორმები გატარდეს და სხვა პრობლემები მოგვარდეს.

— მოთხოვნები ახსენეთ, ევროკავშირმა 12 ასეთი მოთხოვნა წარუდგინა საქართველოს კანდიდატის სტატუსი მისაღებად. თქვენ ახლოდან აკვირდებით საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. როგორ ფიქრობთ, დგამს საქართველოს ხელისუფლება შემხვედრ ნაბიჯებს ამ მიმართულებით?

— წლების განმავლობაში პროგრესი ვნახეთ, თუმცა ასევე იყო იმედგაცრუებებიც. ეს არაა გასაკვირი. იყო გარკვეული პროგრესი და იყო შეკითხვებიც. საქართველოში ჩატარებულ ზოგიერთ არჩევნებზე, ოპოზიციის ლიდერებს განსხვავებულად ეპყრობოდნენ და ამაზე საერთაშორისო საზოგადოებამ შეშფოთება გამოთქვა.

საქართველოში კორუფციაა. კორუფცია ყველა ქვეყანაშია, თუმცა ქვეყნებმა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან კორუფციასთან საბრძოლველად მაღალ ეშელონებში. ასე რომ, დიახ, გარკვეული პროგრესი ვიხილეთ, თუმცა მეტი პროგრესის ხილვა გვსურს.

— ანტიდასავლური კამპანია საქართველოში ძალიან გაძლიერდა, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. პირველად თავდასხმის ობიექტი ამერიკის ელჩი, კელი დეგნანი იყო, შემდეგ ევროპარლამენტის წევრები და ქვეყნის სხვა დასავლელი პარტნიორები. როგორ უყურებენ ამას ვაშინგტონში და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ ყველაფერს საქართველო-ამერიკის ურთიერთობებზე?

— ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ჩვენს საელჩოს და ჩვენს ელჩს საქართველოში. არც ისე მგრძნობიარეები ვართ კრიტიკის მიმართ, რომელიც ამერიკელების, თუ ჩვენი წარმომადგენლების მისამართით ჟღერს. თუმცა ვფიქრობ, რომ ქვეყანა, რომელიც ევროპაში გაწევრებას ცდილობს, ისეთ საკითხებს თავს გაართმევს, რომლებიც ჩვენ გვაშფოთებს.

ასე რომ, ჩვენ ყოველთვის ხმამაღლა ვისაუბრებთ ადამიანის უფლებების დაცვაზე და იმ ღირებულებებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოსა და ამერიკისთვის. იმედი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი იქნება კონსტრუქციული და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ შორის საუბარიც კონსტრუქციულად წავა.

— მმართველი, „ქართული ოცნების“ პარტიის წევრების და მთავრობის ნაწილი, ისევე როგორც ამავე პარტიის 4 ყოფილი წევრი, აგრძელებენ იმ ნარატივის გავრცელებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპარლამენტის წევრები როგორღაც ცდილობენ საქართველოს ომში ჩათრევას. რას იტყოდით ამაზე? ვინ ისარგებლებს რეგიონში არასტაბილური გარემოს შექმნით?

— საქართველო ძალიან რთულ გეოგრაფიულ ადგილას მდებარეობს. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებშია, რომ იმის წინააღმდეგ დადგეს, რასაც რუსეთი უკრაინაში აკეთებს. რადგან თუ უკრაინა დაეცემა, საქართველო ნამდვილად იქნება ბატონი პუტინის თვალთახედვის არეალში. ასე რომ, ვფიქრობთ, საქართველოს ეროვნულ ინტერესებშია, რომ ჩვენთან (ამერიკასთან) ერთად იმუშაოს ნებისმიერი ისეთი ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს, რომ ძალა გამოიყენოს და გაანადგუროს სუვერენული ქვეყანა. ამ შემთხვევაში ეს რუსეთია. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს რაიმე განხილვის საგანია. ეს სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაა და საქართველოს უნდა უნდოდეს სწორ მხარეს დგომა.

სენატორს ესაუბრა
მარიამ უგრეხელიძე

პუტინი მოკვდება ისე, რომ უკრაინის ოკუპაციას ვერ შეძლებს

„პუტინის იდეა, რომ მას შეეძლო ამ ქვეყნის (უკრაინის) ოკუპაცია და იქ მის მიერ მართული რეჟიმის დანიშვნა, ასევე ის ამოცანა, რომ ის შემდეგ სხვა ქვეყნებში გადასულიყო, დასრულდა! ის ვერასდროს მოახდენს ამ ქვეყნის (უკრაინის) ოკუპაციას. ის (პუტინი) მოკვდება ისე, რომ უკრაინის ოკუპაციას ვერ შეძლებს,“ — ამბობს რესპუბლიკელი სენატორი ჯიმ რიში.



ლუკაშენკო ბიჭვინთაში, უბრალოდ, ყველისა და ხაჭოს შესატანად ჩავიდა???

(მეოთხე გვერდიდან)

მას აჩქარება არ უყვარს, ლოდინი მშვენივრად ეხერხება. ირანი გადასარევად ვაჭრობს ყველასთან, მათ შორის, დასავლეთთან, აქვს რა თავისი ინტერესები და ეს ინტერესები არ არის რუსეთთან ერთად ყოფნა — მისი ინტერესია უსაფრთხოება (მას მძიმე გამოცდილება აქვს ომის და სანქციების. სწორედ ამის მიღწევას ცდილობს ირანი და თუ რუსეთის გვერდით აღმოჩნდა, ხოლო ის ომს წააგებს, ცხადია, თავადაც ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. გარდა ამისა, ამ სახელმწიფოს ბევრი შიდა სისუსტე აქვს და სარისკო ნაბიჯებს ასე მარტივად არ გადადგამს. თუ ამერიკა ირანს ხელს არ ჰკრავს და გაფორმდება ახალი ბირთვული შეთანხმება (რომელიც ობამას მმართველობის დროს გაფორმდა, მაგრამ ტრამპი შეთანხმებიდან გამოვიდა), რომ „ირანი თავს იკავებს ბირთვული იარაღის შექმნისგან, მაგრამ სანქციების დიდი ნაწილი მოეხსნება“, ვფიქრობ, ის რუსეთს ჩამოშორდება. ამდენად, მგონია, რომ ახლა ირანი რუსეთთან თანამშრომლობით პირველ რიგში, ამერიკასთან ვაჭრობს.

— ამდენად, როგორც თქვით, ბევრ რამეს გადაწყვეტს უკრაინაში, ფრონტის ხაზზე არსებული ვითარება და თქვენი დაკვირვებით, როგორია ეს ვითარება?

— ცხადია. არ ვარ სამხედრო სპეციალისტი და როდესაც ომი მიდის, სიმართლეში გარკვევა საკმაოდ რთულია, რადგან ასეთ დროს ყველა მხარე (აგრესორია თუ სამშობლოს დამცველი), ნამდვილ ინფორმაციას მალავს (ეს ჩვეულებრივი ამბავია). ჯერ ვნახოთ, რა შედეგს მოიტანს ეს ნაწილობრივი მობილიზაცია. თუ რუსეთმა 300 000 კაცი გაისროლა ფრონტზე თუნდაც თვენახევარში, ეს ალბათ, რაღაცნაირად გაამაგრებს რაღაც პოზიციებს. ვფიქრობ, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი: თუ რუსეთმა რაღაც გარდატეხას მიაღწია ამ 300 000 კაცით (ან მეტით. ცხადია, სიმართლეს არ გვეტყვიან, რამდენი უნდა გაუშვან ფრონტზე), ან იმგვარს, რომ მთლიანად დონეცკის ოლქი წაართვა უკრაინას და შემდეგ ეს გამოაცხადა თავის გამარჯვებად, შეიძლება, რაღაცნაირად კიდევ გამოძვრნენ ამ სიტუაციიდან (და რაც უფრო წარმატებული იქნება მოსკოვი, მეტად მომთხოვნი იქნება აფხაზეთისა და ლუკაშენკოს მიმართაც). ხოლო თუ ამით გარდატეხას ვერ მიაღწია, ჩემი აზრით, შეიძლება, ითქვას, რომ ომი წაგებული აქვთ.

— მოდით, ამ პროცესს აფხაზეთის რიგითი მკვიდრის თვალით შევხედოთ, მათ რას აძლევს?

— ბევრს არაფერს, მაგრამ თეორიულად რომ დავუშვათ, დე ფაქტო მთავრობის და სოხუმელების ნაწილი განწყობილია საქართველოსთან დიალოგისთვის, ეს მათ არც გამოუვათ: ნაბიჯი რომც გადმოდგან, იქ ისეთი აჟიოტაჟი ატყდება პრორუსულად განწყობილი პარტიებისა და დეპუტატებისგან... ჩაქოლავენ „ხელისუფლებას“. გვახსოვს, ბჟანიას ჰქონდა მცდელობა — „საგარეო პოლიტიკის“ შესახებ მიიღეს „დოკუმენტი“, სადაც ეწერა საქართველოსთან დიალოგის საჭიროების შესახებ. ამაზე, პირდაპირ ვთქვათ, ისტერიკა ატყდა და ეს პუნქტი ამოაღებინეს. ეს გვაჩვენებს, თუ რამდენად ხელფეხშეკრულია ამჟამად აფხაზური პოლიტიკური ელიტა და რომც მოინდომონ ჩვენკენ ნაბიჯების გადმოდგა, უჭირთ, რადგან იქ ვითარებას რუსები მაინც აკონტროლებენ და არ არ დაუშვებენ ჩვენკენ ნაბიჯების ასე მარტივად გადმოდგმას. ამას ემატება ის, რომ ჩვენ თუ გადავდგით რაიმე ნაბიჯი, ესეც აღქმული იქნება რაღაც ხრიკებად და ფანდებად, იტყვიან, „ხედავთ, ქართველების და ბჟანიას ხელისუფლების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევაო“. ჯერჯერობით ჩვენ ეს საინფორმაციო-პროპაგანდისტული ბლოკადა, რომელშიც ამჟამად აფხაზეთი იმყოფება, სამწუხაროდ, ვერ გავარღვიეთ.

„აქცენტი“

პუტინმა უკრაინის ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქები დამოუკიდებლად ოფიციალურად აღიარა

რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა გამოსცა განკარგულება უკრაინის ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქების „დამოუკიდებლად“ აღიარების შესახებ. ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

„საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, ვაღიარებ და ვადასტურებ რა ხალხთა თანაბარი უფლებებისა და თვითგამორკვევის პრინციპს, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, ხერსონის რეგიონის ხალხის მიერ რეფერენდუმზე გამოხატული ნების გათვალისწინებით, რომელიც გაიმართა 2022 წლის 27 სექტემბერს, ვადგენ: აღიარებულ იქნას ხერსონის ოლქის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა“, — ნათქვამია დოკუმენტში. იგივე შინაარსის განკარგულება გამოქვეყნებულია ზაპოროჟიეს ოლქის „დამოუკიდებლად“ აღიარების შესახებაც.

მობილიზაციის დროს დაშვებული შეცდომები უნდა გამოსწორდეს

რუსეთის პრეზიდენტმა ე.წ. ნაწილობრივი მობილიზაციის დროს დაშვებული ყველა შეცდომის გამოსწორება მოითხოვა. უშიშროების საბჭოს წევრებთან საუბრისას პუტინმა განაცხადა, რომ მობილიზაცია მხოლოდ იმ პირებს უნდა შეეხოთ, რომლებსაც სამხედრო გამოცდილება აქვთ, სამხედრო ნაწილში გაგზავნამდე კი მათ დამატებითი მომზადება უნდა გაიარონ.

ნაწილობრივი მობილიზაცია კრემლის ლიდერმა 21 სექტემბერს გამოაცხადა, რასაც რუსეთში საპროტესტო აქციები მოჰყვა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ქვეყანა რუსეთის ათობით ათასმა მოქალაქემ დატოვა.

გამოდით ქუჩებში და დაიცავით თქვენი თავისუფლება!

„მინდა მივმართო კავკასიელებს, რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მკვიდრი ერების წარმომადგენლებს. თქვენ არ გაქვთ არანაირი მიზეზი ემსახუროთ ერთადერთ ადამიანს, რომელსაც ომი სურს. თქვენ არ უნდა იღუპებოდეთ უკრაინაში, რადგან თქვენ არ გაქვთ ასეთი ვალდებულება არც თქვენს მამებთან, არც შვილებთან და არც მომავალთან

დაღესტნელები არ უნდა იღუპებოდნენ რუსეთის სამარცხვინო ომში. ჩეჩნები, ინგუშები, ოსები, ჩერქეზები და ნებისმიერი ხალხი, ვინც მოხვდა რუსეთის დროშის ქვეშ. იბრძოლეთ თქვენი სიცოცხლისთვის, გამოდით ქუჩებში და დაიცავით თქვენი თავისუფლება“, — ასე მიმართა ზელენსკიმ რუსეთში მცხოვრებ ერებს.

შეხვედრა ქართული კულტურის რაინდთან

ცნობილი მწერალი და მეცნიერი სტუმრად სოხუმის უნივერსიტეტში

ასეთი რამ იშვიათად ხდება — შეხვედრა ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა და შინ წასვლას არავინ ჩქარობდა, რადგან დარბაზში საზეიმო ვითარება სუფევდა. დღესასწაულის თაოსანი და სულისჩამდგმელი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი რექტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე გახლდათ — ცნობილ ქართველ მწერალსა და მეცნიერს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი სოსიაშვილს უმასპინძლეს.

მართალია, ბატონი გიორგის საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდება, მაგრამ ჩვენს მკითხველებს, უბრალოდ, შევახსენებთ, რომ იგი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, თავმდაბლობით გამორჩეული პიროვნებაა. იკვლევს ქართული ფეოდალური გვარების, სათავადოების, საქართველოს ახალი ისტორიის პრობლემებს, ქართული კულტურის, სამაჩაბლოს და შიდა ქართლის ხეობების ისტორიას. არის 120-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 18 მონოგრაფიის ავტორი.

როგორც მწერალს, რამდენიმე პროზაული კრებული და ერთი რომანი („გოდების კედელი“) აქვს გამოცემული. მისი ნაწარმოებები თარგმნილია თურქულ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ და პოლონურ ენებზე. რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის გამარჯვებული დაჯილდოებულია წმინდა გრიგოლ ფერაძის ორდენით, ნიკო ლორთქიფანიძის (საქართველოს მწერალთა კავშირი), პავლე ინგოროყვას (ქართული ფენომენის აკადემია), გიორგი ერისთავის სახელობის პრემიებით (საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის ორგანიზაცია); შარშან მისმა კრებულმა („ოთხი მოთხრობა“) ლიტერატურული პრემია „საბა“ დაიმსახურა...

მარცხნიდან — ლუბა ბიბილეიშვილი, ინდირა ძაგანია, გიორგი სოსიაშვილი, ნუნუ მიცკევიჩი, ზურაბ ხონელიძე.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ლუბა ბიბილეიშვილმა. საპატიო სტუმარს მიესალმნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ხონელიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ინდირა ძაგანია; გიორგი სოსიაშვილის სამეცნიერო და სალიტერატურო მოღვაწეობაზე ილაპარაკეს პროფესორებმა — ოთარ ჯანელიძემ, სოსო სიგუამ, ლია ახალაძემ, სოსო ჭუმბურიძემ, ზაურ ნაჭყებიამ, სოსო ალიმბარაშვილმა, კახა კვაშილავამ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილმა, რომელმაც გიორგი სოსიაშვილი „კულტურის რაინდის“ წოდებით დააჯილდოვა.

შეხვედრის დასასრულ გიორგი სოსიაშვილმა დამსწრეთ გულთბილი მასპინძლობისა და მისი მოღვაწეობის ესოდენ მაღალი შეფასებისთვის მადლობა გადაუხადა.

ვაჟა დანელია

მანცხადება

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

1.	მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — ერთი საშტატო ერთეული.
2.	მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — ერთი არასრული საშტატო ერთეული.
3.	მანქანათმშენებლობის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი — ერთი არასრული საშტატო ერთეული.

კონკურსის პირობები:

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა)	განცხადება;
ბ)	პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ)	ავტობიოგრაფია (CV);
დ)	დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ე)	გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ვ)	ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
ზ)	სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
თ)	სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
ი)	პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი;
კ)	შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).
	საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10.
	საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 31 ოქტომბერი.
	დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ — სვეტლანა ჩაგელიშვილს ტ.: 593 234 025, 2 329017

◎ 10 წლის შემდეგ!

ხულიგანი ნაცი ხულიგან ნაცად რჩება!

ARIS გამოთქმები, რომლებიც თარგმნის შემთხვევაში მულამს კარგავენ, ამიტომ, თქვენი ნებართვით, ერთ რუსულ სიბრძნეს დედა ენაზე, ოლონდ ქართული ასოებით შემოგთავაზებთ: „დურნოი პრიმერ ზარაზიტელენ“. მიხვდით, ხომ?

ახლა კი მთავარზე.

რამდენიმე წლის წინათ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გეგეშიძემ დღისით, მზისით, სახალხოდ მიაყენა შეურაცხყოფა ჩვენს ოლიმპიურ იმედს ზურაბ დათუნაშვილს. მას შემდეგ, რაც სამშობლოში სამართალს ვერ მიაღწია, უნიჭიერესი ფალავანი სერბეთში გადაბარგდა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონის ორი ოქროს მედალი და ოლიმპიური ბრინჯაო შესძინა, მოძალადე მაღალჩინოსანმა კი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, თანამდებობა შეინარჩუნა.

კიდევ უფრო შორს წავიდა ასევე ფრიად წარმატებული — **კრივის ფედერაციის თავკაცი წიკლაური,** რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, თვით კულტურის მინისტრზე, თანაც ქალბატონზე — თეა წულუკიანზე გაიწია.

ბუნებრივია, ჭეშმარიტების დასადგენად მუშტი-კრივის ტრფიალის პოზიციამაც დაგვაინტერესა, მაგრამ მან ორი სხვადასხვა ვერსიით სცადა თავის მართლება: კერძოდ, თუ „ტელეიმედთან“ კატეგორიულად უარყო აღნიშნული ფაქტი და მხოლოდ მინისტრის მოადგილე სოსო გიორგაძეზე იერიშის მიტანა აღიარა, „მთავარ არხთან“ მომხდარის მიზეზად ფედერაციიდან კომპეტენტური კადრების გაშვება და დარჩენილთათვის, აგრეთვე მოკრივეთათვის ანაზღაურების გაზრდის განზრახვა დაასახელა. რომელი ვირწმუნოთ?

ასე რომ, დაუსჯელობამ ახალი დაუსჯელობა წაახალისა, ოღონდ უფრო მასშტაბურად — ამჯერად მინისტრი ქალბატონის მიმართ.

საინტერესო იცით, რა არის? მაშინ, როცა, წესითა და რიგით სუსტი სქესის წარმომადგენელს გენდერ-ზონდერები უნდა გამოსარჩლებოდნენ, სახალხო დამცველმა ბუტაფორიულმა ფიგურამაც კი კომენტარზე უარი განაცხადა, მაგრამ, ჰოი საკვირველებავ, გამოძიების დაწყება რამდენიმე კოლეგა-დეპუტატთან ერთად, მიხრწნილებაში მყოფი ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, თვალხატულა დეკანოიძემ(!) მოითხოვა. მიდი და ნუ გაოცდები კაცი!

თუმცა, კიდევ უფრო ტკბილი ლუკმა ბოლოსთვის მოვიტოვეთ: დიახ, თურმე არც მთლად უცოდველი კრავი ბრძანებულა ჩვენი მოჩხუბართა ატამანი, რადგან იგი შემჩნეულია 2012 წელს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა წინააღმდეგ სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის სამტრედიაში კახი კალაძის მომხრეთათვის რინგის მოწყობაში.

ჰოდა, მოდი და ნუ დარწმუნდები, რომ ძველი ნაცი არ არსებობს — იგი ყველგან და ყოველთვის მავნებლად რჩება...

გია პლატონიშვილი

◎ პროექტი

პროტოკოლის მსოფლიო ორგანიზაცია - საქართველო მშვიდობისა და მეგობრობის ხიდი

WORLD ORGANIZATION OF PROTOCOL - GEORGIA BRIDGE OF PEACE AND FRIENDSHIP

ORGANIZACIÓN MUNDIAL DE PROTOCOLO – GEORGIA PUENTE DE LA PAZ Y LA AMISTAD

შემოდგომას დაგვიმშვენებს

წლევანდელი შემოდგომა შესაძლებელია უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელებამ დაამშვენოს, რომელიც პროტოკოლის მსოფლიო ორგანიზაცია — საქართველო მშვიდობისა და მეგობრობის ხიდის თაოსნობითაა ჩაფიქრებული.

მისი თავმჯდომარე **ნიკოლოზ პატარქალიშვილი** მიზნის მიღწევას კომპლექსურ ღონისძიებათა პრიზმაში ისახავს, ხოლო თანადგომას საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, თბილისის მერს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტსა და მედიას სთხოვს.

უფრო კონკრეტულად სათქმელის შესახებ გაეცანით უშუალო ადრესატ — ბატონ ბიძინა ივანიშვილისადმი გაგზავნილი მიმართვის ტექსტს.

პირველ ყოვლისა, შეგახსენებთ თქვენთან შეხვედრისას, ჩვენ მიერ მომზადებული სახელმწიფო და საერთაშორისო მნიშვნელობის მასშტაბური პროექტის გაცნობის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოსა და სამხრეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის, „მერკოსურის“ კავშირის ქვეყნებთან: არგენტინა, ბრაზილია და ურუგვაი), კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ბიზნესის სფეროში თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებას.

ამის შემდეგ, ჩვენი პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა პანდემიამ და სხვა მიზეზებმა.

გაცნობებთ, რომ მსოფლიოში ამჟამად შექმნილი არასასურველი მდგომარეობიდან გამომდინარე, პროექტში ჩავრთეთ **„მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავებისა და მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მეგობრობის ხეივანის“** დაარსება თბილისში.

პროექტი შექმნილია საქართველოს პოპულარიზაციისა და ეკონომიკური განვითარების, აგრეთვე ქართული ფეხბურთის აღორძინებისა და ჩვენი ქვეყნის, როგორც **„მშვიდობისა და მეგობრობის ხიდად“** წარმოჩენისა და მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობისა და მსოფლიოს ქვეყნებთან მეგობრობის განმტკიცების მიზნით.

პროექტში უმთავრესი ადგილი უკავია: გასული საუკუნის 60-იანი წლების ვარსკვლავების ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელების მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირებისა და თამაშების ჩატარებას, აგრეთვე კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური ღონისძიებების გამართვას.

პროექტის წარმატებულად განხორციელებისათვის, პირველ რიგში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საქართველოში მოწვეულ იქნას ბრაზილიის ფეხბურთის ვარსკვლავების, მსოფლიო ჩემპიონების, ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა ერთი ან ორი ამხანაგური თამაში გამართოს საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრებთან, დევიზით: „**საქართველო „მშვიდობისა და მეგობრობის ხიდი“.**

აღნიშნულ თამაშებზე ბრაზილიის მხრიდან მიღებული გვაქვს უფლებამოსილება და წარსადგენი სია, შემდეგ ფეხბურთელებზე: **ალდაირი, ბელეტი, მარსიო სანტოსი, ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, ედმილსონი, ედილსონი, ჯოვანი, რონალდინიო, ბებეტო, პაულოს სერხიო, ვიოლა, კლებერსონი, ტულიო მარავილია, გონსალვეში, რივალდო, ლუიზაო, ჟუნიორ ბაიანო, ზე რობერტო** და **კაკა.** ამასთან, ბრაზილიურმა მხარემ თანხმობა გამოთქვა, ეგზოტიკური ხე-მცენარეების ჩამოტანასა და ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებთან ერთად **„მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავებისა და მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მეგობრობის ხეივანის“** განაშენიანებაში მონაწილეობაზე.

აღნიშნულ ხეივანში გათვალისწინებულია **გიორგი სიჭინავას, სლავა მეტრეველის, პელეს, მიხეილ მესხისა** და **ანზორ კავაზაშვილის** 1965 წელს გადაღებული ფოტოს მიხედვით ხუთფიგურიანი სკულპტურული კომპოზიციის განთავსება.

ასევე, გათვალისწინებულია ქართული ფეხბურთის აღორძინებისა და მომავალი ვარსკვლავების აღზრდის მიზნით, სამხრეთ ამერიკის მსოფლიო ჩემპიონ ქვეყნებთან თანამშრომლობით შეიქმნას სპორტული კომპლექსი, საქართველო-არგენტინის, საქართველო-ბრაზილიისა და საქართველო-ურუგვაის ფეხბურთის აკადემიებით, არგენტინის ფეხბურთის ტექნოლოგიური ინსტიტუტითა და საცხოვრებლებით, საცურაო აუზებით, კულტურის ცენტრებითა და სწრაფი კვების ობიექტებით, რომელსაც პარალელურად, თბილისელებისა და დედაქალაქის სტუმრებისათვის ექნება კულტურისა და დასვენების პარკის ფუნქცია.

რაც შეეხება არგენტინის ტექნოლოგიურ ინსტიტუტს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დავალებით, საკითხი განიხილეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებმა, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა და დადებითი შეფასება მისცეს მის შექმნას!

„მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავებისა და მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მეგობრობის ხეივანის“ განაშენიანებისთვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თბილისის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა გამოყონ მიწის ფართობი აეროპორტიდან თბილისის ცენტრისკენ მომავალ, — „აეროპორტის ხიდიდან“ მარჯვენა მხარეს, — კახეთის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიაზე და შექმნან შესაბამისი პროექტი.

ზემოაღნიშნული ამხანაგური მატჩები, ბრაზილიის ფეხბურთის ვარსკვლავების, ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრების მონაწილეობით შესაძლებელია ჩატარდეს **მიმდინარე წლის 26 ოქტომბერსა და 6 ნოემბერს შორის საქართველოში.**

თამაშის წინა დღეს თბილისში გაიმართება შეხვედრა ბრაზილიის ფეხბურთის ვარსკვლავებთან და ღონისძიების საზეიმო გახსნა, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ანსამბლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ არგენტინის, ბრაზილიისა და ურუგვაის მოცეკვავეები, მომღერლები და მუსიკოსები, მათ შორის ბრაზილიიდან მოწვეული **მულატ ქალთა ანსამბლი,** რომელიც წარმოადგენს ულამაზეს შოუს! ღონისძიებების გასაშუქებლად მოწვეული იქნებიან არგენტინის, ბრაზილიისა და ურუგვაის ტელევიზიებისა და ბეჭდური მედიის წარმომადგენლები.

ბატონო ბიძინა, თქვენი ბუნებრივი ქველმოქმედებისა და მეცენატობის გათვალისწინებით და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის, ქართული კულტურის, სპორტის, მათ შორის, ფეხბურთის განვითარებისა და შემდგომი პოპულარიზაციის, აგრეთვე საქვეყნოდ აღიარებულ ქართველ ფეხბურთელთა (მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გიორგი სიჭინავა, ანზორ კავაზაშვილი, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი...) ღვაწლისა და „საქართველოს, როგორც მშვიდობისა და მეგობრობის ხიდად“ წარმოჩენისადმი, თქვენი საყოველთაოდ ცნობილი დაინტერესებიდან და ზემოთ აღნიშნული შეხვედრიდან გამომდინარე, გთხოვთ ღონისძიებების დაფინანსების საკითხი გადაგვიწყვიტოთ შესაძლო მოკლე დროში და საორგანიზაციო ჯგუფში მოავლინოთ თქვენი წარმომადგენელი.

ერთი თამაშისა და ამ თამაშის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ორგანიზებისა და მომსახურების ხარჯები საორიენტაციოდ შეადგენს: 1,500 000 აშშ დოლარს.

გთხოვთ, აღნიშნული თანხა გადმოგვირიცხოთ საქართველოს ბანკის ცენტრალურ ფილიალში, თბილისი, ლეონიძე გიორგის ქ. №2, „პროტოკოლის მსოფლიო ორგანიზაცია — „საქართველო მშვიდობისა და მეგობრობის ხიდის“ ანგარიშზე: GE13BG00000-00538352613 USD

P. S. არგენტინის კომერციული მისიის მომდევნო ვიზიტს ვგეგმავთ თბილისსა და კახეთის, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში, ასევე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის დარგების განვითარებისა და სხვადასხვა საწარმოების შექმნის მიზნით, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ჩვენთან თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

თავმჯდომარე,

ნიკოლოზ პატარქალიშვილი,

„პროტოკოლის მსოფლიო ორგანიზაციის „საქართველო მშვიდობისა და მეგობრობის ხიდის“ თავმჯდომარე, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელოვნებისა და მეცნიერების კავშირის „სპორტული ხელოვნების საერთაშორისო საბჭოს“ პრეზიდენტი საქართველოში, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელოვნებისა და მეცნიერების კავშირის, „ცეკვის საერთაშორისო საბჭოს“ ელჩი საქართველოში, არგენტინის ფეხბურთის ტექნოლოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი საქართველოში.

უჩვეულო სტილისა და ყველასაგან განსხვავებული შემოქმედი

94 წლის ასაკში მხატვარი ჯიბსონ ხუნდაძე გარდაიცვალა. ამის შესახებ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი გია გუგუშვილი სოციალურ ქსელში წერს.

ჯიბსონ ხუნდაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. 1957-1960 წლებში იყო ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის, 1962-1964წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების განყოფილებისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის ხატვა-ფერწერის პედაგოგი.

მისი გამოფენები მოეწყო საქართველოში, რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, იაპონიაში, უკრაინაში, ისლანდიასა და შვეიცარიაში; ავტორია ჟურნალ-გაზეთებში თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე გამოქვეყნებული წერილებისა. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, კულტურის სამინისტროს ფონდში, საფრანგეთის, აშშ, იტალიის, ავსტრიის კერძო კოლექციებში. არის მე-6 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი (1956), ფესტივალ „თბილისური გაზაფხულის“ ლაურეატი (1997), ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის გრან-პრიზის მფლობელი (1999).

მიღებული აქვს საქართველოს ეროვნული პრემია, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, ასევე საქართველოს სახელმწიფო პრემია, ნიკო ფიროსმანის სახელობის პრემია. არის ღირსების ორდენოსანი.

უახლოესი მეგობრები **ოთარ ტურაბელიძე, ნოდარ სუმბაძე, სპარტაკ ქობულია, მამუკა ვაშაკიძე, ზურა გოშაძე, მალხაზ დვალი, ბონდო ქურდაძე, გია პლატონიშვილი, მარინე გიგინეიშვილი, ირმა ირემაშვილი** სამძიმარს უცხადებენ დალი ხუნდაძესა და ნინო ალექსანდრიას მამისა და ბაბუის, უშესანიშნავესი და ორიგინალობით გამორჩეული მხატვრის, საქართველოს ეროვნული, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო და ფიროსმანის სახელობის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენოსნის

ჯიბსონ ხუნდაძის

გარდაცვალების გამო.

ღმერთმა სული გაუნათლოს დიდებულ პიროვნებას, რომლის სახელიც საუკუნოდ დარჩება ქართველ და მსოფლიო ხელოვანთა გულებში.

მეგობრის ხსოვნას

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა და კლასელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წარჩინებული მოქალაქე და მოღვაწე, ეკონომიკის ცნობილი ანალიტიკოსი და ჟურნალისტი, ბავშვობის მეგობარი

ომარ შურღაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გივი აბდუშელიშვილი, ნუნუ ლაღიძე, გულთაზ ლაბარტყავა, როლანდ ლაბარტყავა, სპარტაკ გოგინავა, ჯემალ კახიანი, ჯიმი ქვარცხავა, მერაბ ზამბახიძე, იურა ალანია, გია სვანიძე, ბესო ქორქია, ვახტანგ ჩიქოვანი, ლიანა წურწუმია.



თამაზ სანიკიძის არდავიწყება

გარდაიცვალა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

თამაზ სანიკიძე

საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოსთქვამს ბატონი თამაზის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს და ახლობლებს.

მუნიციპალური და კერძო სამოყვარულო თეატრალური დასების საქმიანობის ხელშეწყობი კონკურსი

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ პირველად გამოაცხადა კონკურსი „სამოყვარულო (მუნიციპალური) კერძო თეატრალური დასების საქმიანობის ხელშეწყობა“.

კონკურსის ვადებსა და პირობებთან დაკავშირებით ბრიფინგზე ისაუბრა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

სამინისტროს მიერ კონკურსისთვის გამოყოფილია 70 000 ლარი. კონკურსის მიზანია საქართველოში მოქმედი სამოყვარულო თეატრალური დასების პოპულარიზაციის, შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და ქვეყნის თეატრალური ცხოვრების განვითარებაში მათი როლისა და მნიშვნელობის გაზრდა.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ (იურიდიულ) პირებს, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება, წარმოადგინონ მუნიციპალიტეტის მმართველობის ფარგლებში მოქმედი კულტურის სახლის ან კერძო სამოყვარულო თეატრალური დასი. საკონკურსოდ მიიღება პროექტები, რომლებიც, შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების მიზნით, გულისხმობს სამოყვარულო თეატრალური დასების ხელშეწყობას ფუნქციონირებიათვის საჭირო სხვადასხვა (შემოქმედებითი და მატერიალურ-ტექნიკური) ხარჯით.

კონკურსში უპირატესობა მიენიჭოს კონკურსანტს, რომელიც გამოირჩევა სტაბილური და ნაყოფიერი საქმიანობით. საკონკურსო განაცხადები მიიღება 2022 წლის 29 სექტემბრიდან 2022 წლის 10 ოქტომბრის 12:00 საათამდე ან ნაბეჭდი სახით სამინისტროში (მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. №4), ან ელექტრონული ვერსია სამინისტროს ოფიციალურ ელფოსტაზე — infoculture.gov.ge.

კონსულტაციების მიღება შეიძლება სამინისტროს ცხელი ხაზით, ტელ.: 032 2 022229 ან 599 143 248 სამუშაო საათებში (ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 09:00-18:00).

ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გამოქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე არაუგვიანეს 2022 წლის 19 ოქტომბრისა.

ბათუმს კიდევ ერთი თანამედროვე სტანდარტების ახალი საჯარო სკოლა შეემატება

ბათუმში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საჯარო სკოლა აშენდება. მშენებლობის ადგილზე სიმბოლური კაფსულის ჩადების ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან და აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილთან ერთად მიიღო. მიხეილ ჩხენკელმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და მთელი საქართველოს მასშტაბით საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

როგორც ცნობილია, მხოლოდ 2021-2022 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ **3 ახალი საჯარო სკოლა აშენდა, ხოლო 237 საჯარო სკოლას სრული, ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა; ამავე წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, აჭარის რეგიონში აშენდა 4 ახალი საჯარო სკოლა, სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია კი 28 სკოლას ჩაუტარდა. რაც შეეხება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, 2019 წლიდან დღემდე რეგიონებში 106 საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია დასრულდა, კიდევ 39 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია წლის ბოლომდე განხორციელდება.**

ჩვენ ვაგრძელებთ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას მთელი ქვეყნის მასშტაბით სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, **ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით იწყება 1 მილიარდი ლარის ღირებულების მასშტაბური პროექტი, რაც 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციას გულისხმობს.**

ბათუმში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის ადგილზე სიმბოლური კაფსულის ჩადების ცერემონიაში მონაწილეობა ასევე მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ თამარ მახარაშვილმა, აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების სხვა წარმომადგენლებმა.

ქალაქ ბათუმის ცენტრალურ ნაწილში, დემეტრე თავდადებულისა და ილია ჭავჭავაძის ქუჩების კვეთასთან 1400 მოსწავლეზე გათვლილი, ახალი 3 სართულიანი საჯარო სკოლა აშენდება; შენობაში საკლასო ოთახების გარდა, განთავსდება სპორტული და სააქტო დარბაზები, ბიბლიოთეკა; მოეწყობა ღია მოედანი და სარეკრეაციო სივრცე. სკოლა მთლიანად ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე.

ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲗᲝᲓᲣᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲝᲡᲐᲜᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲗᲝᲓᲣᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ.

დაჯილდოების ცერემონია ორბელიანების სასახლეში გაიმართა და მას სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სახელმწიფო ჯილდო ნათია თოდუას პრეზიდენტმა პირადად გადასცა და შემოქმედებით საქმიანობაში წარმატებები უსურვა. ნათია თოდუამ მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს ამ უდიდესი ჯილდოსათვის და განაცხადა, რომ ძალისხმევას არ დაიშურებს მსოფლიო ასპარეზზე ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის. **„პირობას ვდებ, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩვენ ყველა ერთად დავბრუნდებით აფხაზეთში!“** — განაცხადა მომღერალმა.

„ᲯᲐᲛᲘ ᲑᲠᲝᲬᲔᲣᲚᲘᲡᲐ“ — ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲑᲐᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ. „ᲯᲐᲛᲘ ᲑᲠᲝᲬᲔᲣᲚᲘᲡᲐ“, — ასე ჰქვია ექსპოზიციას, რომელიც მხატვრის 70 წლის იუბილეს ეძღვნება და მის მიერ 1996 წლიდან დღემდე შესრულებული ნამუშევრებია გამოფენილი. ნოდარ ბადურაშვილის ნამუშევრების ნახვის შესაძლებლობა დამთვალიერებლებს რამდენიმე დღის განმავლობაში, ხელოვნების სასახლეში შეეძლებათ.

„ჩემს 70 წლის იუბილეს მიეძღვნა ეს გამოფენა, რომელიც გაგრძელდება 3 ოქტომბრამდე ხელოვნების სასახლეში. ჟანრი არის თავისუფალი. თავისუფლება, თავისუფალი ხედვა, შრომა და მრავალფეროვნება — ეს არის ჟანრი. საერთოდ ჩემს თავს არიერგარდის ვუწოდებ“, — განაცხადა ნოდარ ბადურაშვილმა.

საქართველოს ხელოვნების სასახლის გენერალური დირექტორის გიორგი კალანდიას თქმით, საქართველოს ხელოვნების სასახლეში პირველად გამოიფინა „ლევკასის“ მეთოდით და ტექნიკით შექმნილი ნახატები.

„ვულოცავ მხატვარ ნოდარ ბადურაშვილს, რომელმაც ძალიან საინტერესო სამყარო წარმოადგინა დამთვალიერებლის წინაშე. ის ტექნიკა, რომელიც ყოველთვის იყო დამახასიათებელი მხატვრობისთვის, არის ძალიან საინტერესო და გექნებათ საშუალება, დაათვალიეროთ, მიიღოთ სიამოვნება“, — აღნიშნა საქართველოს ხელოვნების სასახლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კალანდიამ.

ᲝᲠᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲤᲚᲔᲘᲢᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲛᲐ Lizzo-Მ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲖᲔ ᲐᲨᲨ-Ს ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ, ᲯᲔᲘᲛᲡ ᲛᲔᲓᲘᲡᲝᲜᲘᲡ ᲤᲚᲔᲘᲢᲐᲖᲔ ᲓᲐᲣᲙᲠᲐ. 200 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲠᲘᲡᲢᲐᲚᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲠᲔᲛᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲡ ᲤᲚᲔᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲗᲝ. ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲔᲡᲙᲝᲠᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲢᲐᲜᲔᲡ.

Lizzo-მ ფლეიტაზე დაუკრა, იცეკვა, რის შემდეგაც თქვა: „ახლახან ტვერკი ვიცეკვე და ჯეიმს მედისონის ფლეიტაზე დავუკარი 1800-იანებიდან“.

ᲔᲚᲢᲝᲜ ᲯᲝᲜᲯᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲢᲜᲘ ᲡᲞᲘᲠᲡᲛᲐ ᲓᲣᲔᲢᲘ ᲩᲐᲬᲔᲠᲔᲡ

ᲔᲚᲢᲝᲜ ᲯᲝᲜᲯᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲢᲜᲘ ᲡᲞᲘᲠᲡᲛᲐ ᲗᲐᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲓᲣᲔᲢᲖᲔ Hold Me closer ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲓᲔᲝᲠᲒᲝᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲡ.

DW-ს ინფორმაციით, ეს სპირსის პირველი მუსიკალური ნამუშევარია 2016 წლის ალბომ Glory-ს შემდეგ. ვიდეო მეხიკოშია გადაღებული, მისი რეჟისორი ტამუ მუინოა, ქორეოგრაფი კი — ჯეიკობ ჯონასი.

ᲦᲐᲚᲐᲢᲘ 5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲐᲓ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲔᲡ...

ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲛᲐ ჯენიფერ ლოპესმა და მისმა მეუღლემ, მსახიობმა ბენ აფლეკმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ოჯახური ღალატის შემთხვევაში 45-მილიონიან კომპენსაციას ითვალისწინებს.

ეს არ არის წყვილის პირველი შეთანხმება, რომელიც მსგავს საკითხებს არეგულირებს. დაქორწინებამდე მათ გააფორმეს შეთანხმება, რომელიც სექსუალურ ცხოვრებას ეხება, თუმცა მისი შინაარსი უცნობია. Marca-ს წყაროების თქმით, ჯენიფერ ლოპესს ბენ აფლეკთან განშორების ეშინია. მომღერალი ფიქრობს, რომ აფლეკი მისგან შეიძლება „დაიღალოს“.

ᲓᲐᲗᲕᲘ — ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲨᲘ

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, პენსილვანიაში, დათვი 49 წლის ქალის ავტომობილში შეძვრა და სალონი დაგლიჯა. როგორც ავტომობილის მძღოლი ამბობს, სახლთან გაჩერების შემდეგ, მანქანა არ დაუკეტავს, თუმცა, ზუსტად არ იცის, როგორ აღმოჩნდა მტაცებელი ცხოველი სალონში.

„პირიდან ქაფი მოსდიოდა. ალბათ, ძალიან სწყუროდა, რადგან დაახლოებით 7 საათი იყო ავტომობილში“, — ამბობს ავტომობილის მფლობელი. საბოლოოდ, დათვმა ავტომობილი საბარგულის გახსნის შემდეგ დატოვა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17Ა

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲡ „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3

ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲗ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲤᲠᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲝᲥᲠᲝ ᲘᲛᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲞᲣᲢᲘᲜᲡ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚ ᲝᲛᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲜᲔᲑᲡ!

(ᲛᲔᲛᲕᲘᲓᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) ანალიტიკოსი **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** მიიჩნევს, რომ პუტინის მხრიდან დაწყებული მუქარა ბლეფი არ არის და არავინ იცის მას თავში რა შეიძლება მოუვიდეს.

რეზერვის მობილიზაციის შემდეგ, თუ მან ამის შემდეგაც დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, არავინ იცის რაზეა წამსვლელი.

ამიტომ მისი მხრიდან ბირთვული იარაღით მსოფლიოს შანტაჟი სახუმარო საქმე არაა.

„პუტინმა ორი მნიშვნელოვანი შეცდომა უკვე დაუშვა, ერთი როდესაც ეგონა, რომ უკრაინას ადვილად დაიპყრობდა და ომი დაიწყო და მეორე როცა მობილიზაცია გამოაცხადა. ახლა კი არსებობს იმის საფრთხე, რომ ბირთვული იარაღი გამოიყენოს. არ ვამბობ, რომ ამის ალბათობა დღეს და ხვალ არის, მაგრამ ეს რისკი შესაძლოა მაშინ დადგეს, როცა რეზერვიც გაიწოვება და მას ცოცხალი ძალაც კი არ ეყოლება, რომ ომში გაიწვიოს. როცა ის საბოლოოდ მიხვდება, რომ ყველაფრის მცდელობის მიუხედავად მან ეს ომი წააგო, პუტინის წინაშე ორი საკმაოდ მძიმე არჩევანი დადგება, ერთი — თავისიანებივე ჩამოაგდებენ და ის გენერალიტეტი, რომელიც ახლა ომში იბრძვის, ფიზიკურად გაუსწორდება. ან ბირთვული იარაღი გამოიყენოს და საპასუხო დასავლეთისგან საკმაოდ მძიმე დარტყმა მიიღოს.

პუტინს თავში რა მოუვა და რისი გამკეთებელია მისმა გარემოცვამაც კი არ იცის. ეს გამოჩნდა ამ მობილიზაციის გამოცხადების შედეგადაც. საქართველოც ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი საფრთხის ქვეშ იმყოფება. ქარი რომელ მხარეს დაუბერავს და საით წაიღებს ამ რადიაციას, არავინ იცის. ხელისუფლებისგან მეტი ღონისძიებებია საჭირო იმისთვის, რომ ღმერთმა დაგვიფაროს ეს მოხდეს, ხალხში პანიკა არ დაიწყოს. სად შეაფარონ თავი და ა.შ. ეს რისკები რეალურია და პუტინის სიტყვებს ასე აგდებულად არ უნდა უყურონ“, — ამბობს ბატიაშვილი.

ᲚᲘᲙᲐ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.8352; ᲔᲕᲠᲝ - 2.7428
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.0751;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.8972; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1529;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6668;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.9824.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+10,	ᲓᲦᲔ	+28
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+7,	ᲓᲦᲔ	+25
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+15,	ᲓᲦᲔ	+28
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+10	ᲓᲦᲔ	+26
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+15,	ᲓᲦᲔ	+28

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge